პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

KOMUNISTI—

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

2 ივლისი პარასკევი 1971 წელი 2 კაკ.

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან ● № 150 (15060)

ხუთწლედის ვახტაზე — ვალდებულებას ანაღდებენ

● თბილისი. ყველა მაჩვენებლით გადაჭარბებით შესრულა ნახევარი წლის დავალება ქიროვის ჩარხსამშენებლო ქარხნის (დირექტორი დ. ჯიანაძე) კოლექტივმა. პროდუქციის რეალიზაციის გეგმა განაღდებულია 102 პროცენტით. მომხმარებლმა მიიღო 360 ათასი მანეთის ზეგეგმითი პროდუქცია — ათობით ლითონსაჭრელი ჩარხი. აღსანიშნავია, რომ მიმდინარე წელს გასული წლის ამავე პერიოდთან შედარებით 1.039 ათასი მანეთით გაიზარდა პროდუქციის რეალიზაციის მოცულობა. შრომის ნაყოფიერების ასეთ ზრდას ჩარხმშენებლებმა ანსებულ სიმძლავრეთა მაქსიმალური გამოყენებით მიაღწიეს.

● თბილისი. ვ. ი. ლენინის სახელობის შუშის ქარხნის (დირექტორი გ. ბელიძე) კოლექტივი აღმავლობით შრომობს ახალ ხუთწლედში. მეშუშეებმა გადაბი ადრე შეასრულეს როგორც პროდუქციის გამოშვების, ისე რეალიზაციის, აგრეთვე შრომის ნაყოფიერების გადიდებისა და თვითღირებულების შემცირების ნახევარი წლის დავალებანი.

ექვს თვეში ნაცვლად 32 მილიონ 600 ათასი ცალისა გამოშვებულია 34 მილიონ 599 ათასი ცალი ბოთლი, გეგმის გადამეტებით რეალიზებულია ათეულ ათასობით მანეთის პროდუქცია; მარტო ხუთ თვეში შრომის ნაყოფიერება გაზრდილა 7 პროცენტით, პროდუქციის თვითღირებულება [illegible] ათასობით მანეთი მოგება.

● თბილისი. [illegible] გეგმითი [illegible] პროდუქცია გამოუშვია მიმდინარე წლის [illegible] ფაბრიკის (დირექტორი მ. სარჯველაძე) კოლექტივმა. მომხმარებლის გეგმის გადამეტებით გაიგზავნა ათობით ტონა სხვადასხვა ხარისხის ქართული ჩაი. მარტო ხუთ თვეში გეგმის გადამეტებით რეალიზებულია 1 მილიონ 300 ათასი მანეთის პროდუქცია.

● წყალტუბო. (სპკ. კორ.). ოლიფა, მშრალი და ზეთოვანი საღებავები, რომლებსაც წყალტუბოს ქიმიური ქარხანა უშვებს, ახლა ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა კუთხის 500 მისამართით იგზავნება და ყველგან მოწონებით სარგებლობს. ამ დღეებში აქ კიდევ ერთი ახალი სახის პროდუქციის — სრესილი ფერადი საღებავების წარმოება აითვისეს.

ქარხნის კოლექტივმა ხუთ თვეში გადაჭარბებით შეასრულა იქვსი თვის დავალება. წლის მეორე ნახევრის ანგარიშში უკვე გამოშვებულია 45 ათასი მანეთის პროდუქცია. თვითღირებულების შემცირებას გაზით აქ ათასობით მანეთი დაზოგეს და მოგების ნახევარი წლის დავალებასაც გადაამეტეს, 36 ათასი მანეთი ზეგეგმითი მოგება მიიღეს.

ეთხოვებიან გმირებს

საბჭოთა ადამიანები, მთელი პროგრესული კაცობრიობა დიდად დაამწუხრა ჩვენი სამშობლოს შესანიშნავი შვილების, კოსმოსის დამპყრობი გმირების გიორგი ტიმოთეს-ძე დობროვოლსკის, ვლადისლავ ნიკოლოზის-ძე ვოლკოვის, ვიქტორ ივანეს-ძე პაცაევის დაღუპვამ.

...საბჭოთა არმიის ცენტრალური სახლის წითელდროშოვანი დარბაზი ძალებით არის მოსილი. 1 ივლისს 12 საათზე დაიწყო ხალხის შესვლა გმირებთან გამოსათხოვებლად.

პირველ სამგლოვიარო ვახტს ეწევიან დაკრძალვის მომწყობი მთავრობის კომისიის წევრები. საპატიო ყარაულში დგანან ა. პ. კირილენკო, დ. თ. უსტინოვი, ი. ვ. კაპიტონოვი, ლ. ვ. სმირნოვი, მ. ვ. კელდიში, ა. ა. გრეჩკო, ს. ა. აფანასიევი, ლ. ა. ბორისოვი, ვ. თ. პრომისლოვი, ვ. ა. შატალოვი, მ. პ. გიორგაძე, მ. ს. სმირტიუკოვი.

ხალხის ნაკადი შედის დარბაზში, სადაც ყღერს სამგლოვიარო მელოდიები.

სამგლოვიარო ვახტზე დგებიან სსრ კავშირის კოსმონავტი მფრინავები.

კვარცხლბეკის გარშემო აწყვია გვირგვინები — სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და მინისტრთა საბჭოსაგან, საბჭოთა არმიისა და სამხედრო-საზღვაო ფლოტისაგან, საკავშირო პროფსაბჭოსაგან, სრულიად საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტისაგან, სკკპ მოსკოვის საქალაქო კომიტეტისა და მოსკოვის საბჭოს აღმასკომისაგან, სამხედრო ოლქებისა და ნაწილების სარდლობისაგან, სამხედრო აკადემიებისაგან, სამინისტროებისა და უწყებებისაგან, კოსმონავტი მფრინავებისაგან, გმირთა ნათესავებისა და მახლობლებისაგან. განუწყვეტლივ შემოაქვთ ახალი გვირგვინები.

გმირთა ხსოვნის პატივსაცემად მოვიდნენ კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის ხელმძღვანელები. საპატიო ყარაულში დგებიან ამხანაგები ლ. ი. ბრეჟნევი, გ. ი. ვორონოვი, ვ. ვ. გრიშინი, ა. პ. კირილენკო, ა. ნ. კოსიგინი, თ. დ. კულაკოვი, კ. ტ. მაზუროვი, ა. ი. პელშე, ნ. ვ. პოდგორნი, პ. ნ. დემიჩევი, პ. მ. ბაშილოვი, ვ. ა. შეკანაძე, დ. თ. უსტინოვი, ი. ვ. კაპიტონოვი, კ. თ. კატუშევი, მ. ხ. სოლომენცევი, სკკპ ცენტრალური სარევიზიო კომისიის თავმჯდომარე გ. თ. სიზოვი.

საბჭოთა ხელმძღვანელებმა გულითადი სამძიმარი გამოუცხადეს დაღუპულთა ოჯახებს წევრებსა და მათს ნათესავებს, რომლებიც დარბაზში იმყოფებოდნენ. (საკდესი).



ყოველთვის ასეთები დაამახსოვრდება ხალხს ისინი — ძალითა და ენერგიით სავსენი შუდამ მზად იყვნენ შეესრულებინათ ყველაზე ძნელი და საპასუხისმგებლო დავალება. სურათზე: ხომალდ „სოიუზ-11“ მეთაური გიორგი დობროვოლსკი, ბორტინჟინერი ვლადისლავ ვოლკოვი და ინჟინერ-გამომცდელი ვიქტორ პაცაევი. (სურათი გადაღებულია კოსმოდრომზე სტარტის წინ).

კაცობრიობა გლოვობს

მსოფლიოს სახელმწიფო და საზოგადო მოღვაწენი, მეცნიერები და სპეციალისტები, უბრალო ადამიანები დამწუხრებული არიან საბჭოთა კოსმონავტების — გ. ტ. დობროვოლსკის, ვ. ნ. ვოლკოვის, ვ. ი. პაცაევის დაღუპვის გამო. მსოფლიო პრესა და რადიო აღნიშნავენ მათს დიდ წვლილს კოსმოსის კვლევასა და ათვისებაში.

მთელი მსოფლიო სამძიმარს უცხადებს საბჭოთა ხალხს, დაღუპულთა ოჯახებს მათი უდროოდ დაკარგვის გამო.

ბერლინი, 30 ივნისი. (საკდესი). გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის საზოგადოებრიობა დიდად დამწუხრებულია საბჭოთა კოსმონავტების — ბორის დობროვოლსკის, ვლადისლავ ვოლკოვისა და ვიქტორ პაცაევის დაღუპვის გამო. სტუმრების წიგნში მან დატოვა ჩანაწერი, რომელშიც გამოხატა უსაზღვრო პატივისცემა კოსმოსის გმირებისადმი, „რომლებმაც სიცოცხლე შესწირეს მთელი კაცობრიობის პროგრესს“.

მარშაპა. საბჭოთა კავშირის ხარშავის საელჩოში იყო სახალხო პოლონეთის დედაქალაქის საზოგადოებრივი ორგანიზაციებისა და საწარმოების ასობით წარმომადგენელი, რომლებმაც თავიანთი კოლექტივების სახელით გულწრფელი სამძიმარი გამოუცხადეს მომმე საბჭოთა ხალხს გამოუსწორებელი დანაკარგის გამო. საელჩო, პოზნანის, კრაკოვისა და გდანსკის საბჭოთა საკონსულოები იღებენ მრავალრიცხოვან დეპეშებს, რომელთა ავტორები გამოთქვამენ გულისტკივილს საბჭოთა კოსმონავტების დაღუპვის გამო და აღიარებენ მათს გმირობას.

ქალაქ ზელენა-გურის იური გაგარინის სახელობის ტექნიკუმში გამართულ მიტინგზე მოსწავლეებმა განაცხადეს, რომ ახალგაზრდობისათვის საბჭოთა კოსმონავტები საქმისათვის თავდადებული სამსახურის მაგალითი არიან, რომ ი. გაგარინის, გ. დობროვოლსკის, ვ. ვოლკოვისა და ვ. პაცაევის სახელები პოლონელი ქალიშვილებისა და ჭაბუკებისათვის მამაცობისა და გმირობის სიმბოლო გახდა.

ულან-ბატორი. მონღოლეთის სახალხო-რევოლუციური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, მონღოლეთის სახალხო-რევოლუციური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი დ. მოლომჟამცი, მონღოლეთის სახალხო-რევოლუციური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატი, მონღოლეთის სახალხო-რევოლუციური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი ბ. ლხამსურენი, მონღოლეთის სახალხო-რევოლუციური პარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრი, მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკის თავდაცვის მინისტრი ბ. დორჟი და მონღოლეთის სხვა ხელმძღვანელები დღეს ეწვიენენ სსრ კავშირის საელჩოს მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკაში და ღრმა სამძიმარი განუცხადეს კოსმონავტთა ტრაგიკული დაღუპვის გამო.

მათ ხელი მოაწერეს სამგლოვიარო წიგნში, რომელშიც ნათქვამია:

„კოსმოსური „სოიუზ-11“ ხომალდის სახელოვანი ეკიპაჟის ნათელი ხსოვნა, ეკიპაჟისა, რომელმაც ახალი თვალსაჩინო წვლილი შეიტანა ადამიანის საკეთილდღეოდ კოსმოსური სივრცის შესწავლისა და ათვისების საქმეში, სამუდამოდ დარჩება ჩვენს გულში“.

ამანი. ამანის რადიო და ტელევიზია გადაცემებში ხაზს უსვამენ, რომ მთელი მსოფლიო ლოგოსის მძიმე დანაკარგის — სამი საბჭოთა კოსმონავტის მოულოდნელი დაღუპვის გამო.

საბჭოთა საელჩოს ეწვია იორდანიის ინფორმაციისა და კულტურის მინისტრი ადნან ობუ ოდა. იორდანიის მთავრობა და ხალხი, განაცხადა მან, გამოთქვამენ რწმენას, რომ ტრაგიკული დანაკარგის მიუხედავად, საბჭოთა კავშირი განაგრძობს კოსმოსური სივრცის კვლევის თავის პროგრამას და მიიპყრებს ახალ თვალსაჩინო შედეგებს.

ბოგოტა. საკდესის ბოგოტის განყოფილებაში არ წყდება ტელეფონის ზარი. კოლუმბიის პროფკავშირული და საზოგადოებრივი ორგანიზაციები, უბრალო ადამიანები გამოთქვამენ სამძიმის საბჭოთა კავშირის გმირი კოსმონავტების ტრაგიკული დაღუპვის გამო, რომლებმაც სიცოცხლე შესწირეს კაცობრიობის ბედნიერებას. ისინი სხოვენ დაღუპულთა ოჯახებსა და მთელ საბჭოთა ხალხს გადასცენ, რომ იზიარებენ საბჭოთა ადამიანების მწუხარებას და რომ მამაცი საბჭოთა კოსმონავტების გმირობა სამუდამოდ დარჩება კოსმოსური სივრცის ათვისების ისტორიაში. მადლიერი კაცობრობა არასოდეს — არ დავიწყებს გმირებს!

ნიუ-იორკი. გაერთიანებული ერების ორგანიზაციასთან სსრ კავშირის წარმომადგენლობას მოსდის გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წევრი ქვეყნების ოფიციალურ წარმომადგენლობათა წერილები, რომლებშიც გამოთქმულია ღრმა სამძიმარი მძიმე დანაკლისის — საბჭოთა კოსმონავტების დაღუპვის გამო. წერილებში, რომლებიც მიღებულია უნგრეთის, პოლონეთის, აფსტრიის, პაკისტანის, ინდოლისის, ამერიკის შეერთებული შტატების, საფრანგეთისა და ბევრი სხვა ქვეყნის შუდმივი წარმომადგენლებისაგან, ხაზგასმულია, რომ საბჭოთა კოსმონავტებმა უდიდესი წვლილი შეიტანეს კოსმოსური სივრცის კვლევის საქმეში მშვიდობისა და მთელი კაცობრიობის საკეთილდღეოდ.

„დღეს მთელი მსოფლიო დიდ მწუხარებას გამოთქვამს სამი საბჭოთა კოსმონავტის დაღუპვის გამო“, — წერს გაზეთი „ნიუ-იორკი ტაიმსი“, რომელიც მთელ გვერდს უძღვნის კოსმოსური „სატურ“ სადგურისა და „სოიუზ-11“-ის ხომალდის ფრენასთან დაკავშირებულ მასალებს.

ბაირუ. კაიროს გაზეთი „ალ-აჰრამი“ თავის სარედაქციო სტატიას უძღვნის საბჭოთა კოსმონავტების ნათელ ხსოვნას და წერს, რომ ისინი „დაიღუპნენ მაშინ, როცა უკვე დაამთავრეს ერთ-ერთი უდიდესი ექსპერიმენტი კოსმოსური სივრცის კვლევის ისტორიაში“. გიორგი დობროვოლსკის, ვლადისლავ ვოლკოვმა და ვიქტორ პაცაევმა, — ხაზს უსვამს გაზეთი, — სიცოცხლე შესწირეს მშვიდობასა და კაცობრიობის ბედნიერებას. ეგვიპტელი ხალხი იზიარებს საბჭოთა ადამიანების ალოვას. იგი მტკიცედ არის დარწმუნებული, რომ დიადი საბჭოთა მეცნიერება, რომელმაც თვალსაჩინო წარმატებანი მოიპოვა, განაგრძობს ძლევამოსილ წინსვლას მთელი კაცობრიობის საკეთილდღეოდ“.

ლიმა. საბჭოთა კავშირის ელჩის საელჩოში მოდიან ოფიციალური დელეგაციები და უბრალო ადამიანები, რათა სამძიმარი გამოუცხადონ საბჭოთა კოსმონავტების ტრაგიკულ დაღუპვასთან დაკავშირებით.

პერუს თვეზეირის მინისტრმა ხავიერ ტანტალენმა, რომელიც ახლახან დაბრუნდა საბჭოთა კავშირში მოგზაურობიდან. სამი კოსმონავტის დაღუპვა დაახასიათა როგორც „დიდი დანაკარგი მთელი კაცობრობისათვის“.

საკდესი, 1 ივლისი.

ახალგაზრდა მუშებელთა მეორე რესპუბლიკური შეკრება

1 ივლისს თბილისში, მუსიკალური კომედიის თეატრის შენობაში შეიკრიბნენ ახალგაზრდა მშენებელთა მეორე რესპუბლიკური შეკრების მონაწილენი.

პრეზიდიუმში არიან საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მეორე მდივანი ა. ჩურკინი, საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ჯ. პატიაშვილი, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მშენებლობისა და საქალაქო მეურნეობის განყოფილების გამგე ი. ქედიშვილი, საქართველოს სსრ მშენებლობის მინისტრი გ. ვაშაკიძე, საქართველოს სსრ სახალხო კონტროლის კომიტეტის თავმჯდომარე ვ. ავარაცხელია, რესპუბლიკის პარტიულ, საბჭოთა, კომკავშირულ და სამშენებლო ორგანიზაციათა ხელმძღვანელები, მშენებელთა სამი თაობის წარმომადგენლები.

შეკრებილთა ტაშის გრიალში საპატიო პრეზიდიუმში აირჩიეს სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიურო.

კრების მონაწილეებმა წუთიერი დუმილით პატივი სცეს დაღუპული კოსმონავტების — გ. ტ. დობროვოლსკის, ვ. ნ. ვოლკოვისა და ვ. ი. პაცაევის ხსოვნას და ჩამმირის ჯიპებში გაუგზავნეს მათ მშობლებსა და ახლობლებს.

სკკპ XXIV ყრილობის გადაწყვეტილებათა მიხედვით საქართველოს კომკავშირულ სამშენებლო ორგანიზაციათა ამოცანების შესახებ მოხსენება გააკეთა საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ჯ. პატიაშვილმა.

შეკრებაზე გამოიდნენ საქართველოს სსრ მშენებლობის მინისტრი გ. ვაშაკიძე, კომკავშირის თბილისის საქალაქო კომიტეტის პირველი მდივანი ვ. ალავიძე, ენგურჰესის მშენებლობის გვირაბგამყვანი, კომუნისტური შრომის დამკვრელი, საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის წევრი ო. ღლონტი, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მშენებლობისა და არქიტექტურის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარე ი. ციციშვილი, „თბილისგვირაბმშენის“ სამმართველოს კომკავშირის კომიტეტის მდივანი თ. მსუქნიშვილი, საქართველოს სსრ მშენებლობის სამინისტროს № 1 ტრესტის „სპეციმშენის“ სამმართველოს მღებავი ა. სამხინა, „ელექტრომშენის“ ტრესტის მუშა დ. ბასილაია, კომკავშირის ქუთაისის საქალაქო კომიტეტის პირველი მდივანი თ. იმედაძე, საქართველოს ლენინის სახელობის პოლიტექნიკური ინსტიტუტის სტუდენტთა სამშენებლო რაზმის ხელმძღვანელი, ინსტიტუტის კომკავშირის კომიტეტის მდივნის მოადგილე რ. აბაშიძე, კომკავშირის აფხაზეთის საოლქო კომიტეტის მეორე მდივანი ბ. ქვაჩახია, საქართველოს სსრ მშენებლობის სამინისტროს № 10 ტრესტის № 7 სამშენებლო სამმართველოს მებათქაშე ნ. მაზურენკო, პოეტი მ. ფოფხიშვილი, საქართველოს სსრ მშენებლობის სამინისტროს № 1 ტრესტის პარტკომის მდივანი ა. მაჭარაშვილი, კოდის მეფრინველეობის ფაბრიკის მშენებლობის კომპლექსური ბრიგადის ხელმძღვანელი დ. ნიაზაშვილი, კასპის ციმენტის ქარხნის მუშა, კომუნისტური შრომის დამკვრელი კ. გორგაძე, თბილისის ელექტრომენტალური დაპროექტების ზონალური სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის ახალგაზრდა სპეციალისტთა და მეცნიერთა საბჭოს თავმჯდომარე, ტექნიკის მეცნიერებათა კანდიდატი ზ. კიანაძე, ბათუმის № 44 პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლის კომკავშირის კომიტეტის მდივანი თ. ფუმბაძე.

კრებაზე სიტყვა წარმოთქვა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მეორე მდივანმა ა. ჩურკინმა. ამხ. ჩურკინმა მთავრობის ჯილდოები გადასცა რესპუბლიკის სტუდენტთა სამშენებლო რაზმების მონაწილეებს, რომლებმაც განსაკუთრებით გამოიჩინეს თავი.

ენგურჰესის სრულიად საკავშირო დამკვრელური კომკავშირული მშენებლობის საუკეთესო შეჯობისათვის საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტს გარდამავალი წითელი დროშები გადაეცათ ფოთის საქალაქო და თერჯოლის რაიონულ კომკავშირულ ორგანიზაციებს.

საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის საპატიო სიგელები და მედლები, დიპლომები და ფასიანი საჩუქრები გადაეცათ „თავის პროფესიამი საუკეთესო მუშის“ წოდებისათვის რესპუბლიკური კონკურსების გამარჯვებულებს. ფასიანი საჩუქრები მიიღეს აგრეთვე „თბილისგვირაბმშენის“ და ენგურჰესის მშენებლობის გვირაბგამყვანთა ბრიგადებმა — საჩვენებელ შეჯიბრებათა მონაწილეებმა.

შეკრების მონაწილეებმა მიიღეს მიმართვა რესპუბლიკის ყველა კომკავშირული სამშენებლო ორგანიზაციისადმი, ახალგაზრდა მშენებლისადმი, ყველა ქალიშვილისა და ჭაბუკისადმი.

ამხ. პატიაშვილმა ამხ. ჩურკინს გადასცა რესპუბლიკის დამკვრელურ მშენებლობათა კომკავშირულ-ახალგაზრდული კოლექტივების შრომითი საქმეების ესტაფეტის მიმდინარეობის შესახებ მასალათა ალბომი — რესპუბლიკის კომკავშირის პატაკი საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტს.

კრების შემდეგ გაიმართა კონცერტი. (საკდესი).

ცას შეეეკაკა საქი ენათლები

გმირი კოსმონავტების გ. დობროვოლსკის, ვ. ვოლკოვისა და ვ. პაცაევის ხსოვნას.

არა, გმირების სიკვდილი არ თქვათ,
მოზარეები თმებს ნუ იშლიან...
ეს ხომ უბადლო სიცოცხლის კართან
მარადისობის დასაწყისია.

გვსმით, რა ვაშამ დაიგრიალა,
მილიონების მკერდის გამთბობი.
მეტეორივით მოსწყდა კი არა,
ცას შეემატა სამი მნათობი.

ერთს ვწუხვარ მხოლოდ, მარად საქები
ვეღარ იძგერებ, გულო ძლიერო,
თორემ ჩვენ შენი დიდი საქმენი
მუდამ აგვანთებს საბედნიეროდ.

არა, გმირების სიკვდილი არ თქვათ,
მოზარეები თმებს ნუ იშლიან...
ეს ხომ უბადლო სიცოცხლის კართან
მარადისობის დასაწყისია.

ვახტანგ გორგანელი.

ღრმა სამძიმარი

გმირი კოსმონავტების პოდპოლკოვნიკ გ. ტ. **დობროვოლსკის**, ბორტინჟინერ ვ. ნ. **ვოლკოვისა** და ინჟინერ-გამომცდელის ვ. ი. **პაცაევის** დაღუპვის ტრაგიკულმა ცნობამ დიდი მწუხარება გამოიწვია მთელ მსოფლიოში.

სკკპ ცენტრალურ კომიტეტს, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმსა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს, დაღუპულთა ოჯახებს, მთელ საბჭოთა ხალხს სამძიმარის დეპეშებს უგზავნიან მომმე სოციალისტური ქვეყნების ხელმძღვანელები, კომუნისტური და მუშათა პარტიების ცენტრალური კომიტეტები, საზღვარგარეთის ბევრი ქვეყნის სახელმწიფოთა და მთავრობათა მეთაურები.

გულწრფელი და ღრმა სამძიმარი გამოთქვეს:

უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის ხელმძღვანელმა მოღვაწეებმა **ი. კადარმა, ბ. ლოშონციმ, ე. ფოკმა;**

მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკის ხელმძღვანელმა მოღვაწეებმა **ი. ცედენბალმა, ჟ. სამბუმ;**

პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის ხელმძღვანელმა მოღვაწეებმა **ე. გერეკმა, ი. ცირანკევიჩმა, ჰ. იაროშევიჩმა;**

რუმინეთის სოციალისტური რესპუბლიკის ხელმძღვანელმა მოღვაწეებმა **ნ. ჩაუშესკუმ, ი. გ. მაურერმა;**

ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკის ხელმძღვანელმა მოღვაწეებმა **გ. ჰუსაკმა, ლ. სვობოდამ, ლ. შტროუგალმა;**

საფრანგეთის კომპარტიის დელეგაციამ.

სამძიმის დეპეშები კვლავ მოდის. (საკდესი).

სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიისაგან

სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემია დიდად დამწუხრებულია იმის გამო, რომ პროგრამის დამთავრების შემდეგ დედამიწაზე დაბრუნებისას „სოიუზ-11“ ხომალდი დაიღუპა პირველი ორბიტული „სატურ“ სადგურის გმირი ეკიპაჟი — მამაცი კოსმონავტები ბორის ტიმოთეს-ძე დობროვოლსკი, ვლადისლავ ნიკოლოზის-ძე ვოლკოვი და ვიქტორ ივანეს-ძე პაცაევი.

მათმა ფრენამ პირველი ხანგრძლივი ორბიტული სადგურით დასაბამი მისცა კოსმოსურ კვლევაში ახალ ეტაპს, რომელიც უდიდეს პერსპექტივებს სახავს მეცნიერებისა და მისი გამოყენებისათვის კაცობრიობის საკეთილდღეოდ.

მთელ საბჭოთა ხალხთან ერთად სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის მეცნიერები ღრმა სამძიმარს უცხადებენ უდროოდ დაღუპულ გმირთა ოჯახებს. მათი ნათელი ხსოვნა, მათი უმაგალითო მამაცობა მუდამ დარჩება კოსმოსური სივრცის ათვისების ისტორიაში.

სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემია.

მოსკოვი. საბჭოთა არმიის ცენტრალური სახლის წითელდროშოვანი დარბაზი. გმირი კოსმონავტების გ. ტ. დობროვოლსკის, ვ. ნ. ვოლკოვის და ვ. ი. პაცაევის ხსოვნის პატივსაცემად მოვიდნენ კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის ხელმძღვანელები.

საკდესი (მიღებულია საქდესის ფოტოტელეგრაფით).

საარსებოვანი ჩაის ფოთლის შესყიდვა

1971 წლის 28 ივნისისათვის

(ყველა კატეგორიის მეურნეობებში) ტონობით

	მაის-ივნისის გეგმა	ფაქტიური	პროცენტი	მათ შორის მოკრეფილია მანქანებით: ფოთლიური	ფაქტიური	პროცენტი
აფხაზეთის ასსრ						
	22205	24316	110	7824	1876	24
გალის	11820	13177	111	4807	1251	26
ოჩამჩირის	7621	8014	105	2507	463	18
გუდაუთის	1890	2080	110	400	127	32
გულრიფშის	660	792	120	100	32	32
სოხუმის	214	253	118	10	3	30
აჭარის ასსრ						
	18941	21935	116	1600	681	43
ქობულეთის	13120	14807	113	1600	681	43
ხელვაჩაურის	5505	6778	123	—	—	—
ქედის	316	350	111	—	—	—
მახარაძის	21414	23528	110	2913	1263	43
ზუგდიდის	15484	17245	111	7002	2794	40
წალენჯიხის	7650	8655	113	2956	1205	41
გეგეჭკორის	5809	6650	114	626	175	28
ლანჩხუთის	5778	6730	116	50	35	70
ჩხოროწყუს	5228	6150	118	701	210	30
ჩოხატაურის	3662	3983	109	300	127	42
წყალტუბოს	2908	3683	127	450	169	38
ცხაკაიას	2652	3477	131	313	96	31
წულუკიძის	2560	2982	116	590	228	39
ტყიბულის საქალაქო საბჭო	2550	2981	117	—	—	—
ხობის	2066	2439	118	565	184	33
სამტრედიის	714	856	120	110	58	53
აბაშის	316	412	130	—	—	—
თერჯოლის	255	473	185	—	—	—
ვანის	112	150	134	—	—	—
ჭიათურის საქალაქო საბჭო	102	239	234	—	—	—
ზესტაფონის	—	25	—	—	—	—
სულ	120406	136909	114	26000	9103	35
მათ შორის ჩაისა და სუბტროპიკული კულტურების საბჭოთა მეურნეობების ტრესტი	24457	28120	115	10000	4806	48
მთლიანად რესპუბლიკაში 1970 წლის ამავე თარიღისათვის იყო	114750	149058	130	20000	8538	43

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ცენტრალური სტატისტიკური სამმართველო.

ფართო გზა საყოფაცხოვრებო მომსახურებას!

მახარაძელ კოლმეურნეთა ეროვნული თავისუფალი ბიბლიოთეკა

მახარაძის რაიონის კოლმეურნეობებმა შესანიშნავი თაოსნობა გამოიჩინეს. მათ გადაწყვიტეს სოფლის მოსახლეობისათვის შეექმნათ ყველა საჭირო საყოფაცხოვრებო პირობები და კიდევაც ხორცი შეასხეს ამ კარგ ინიციატივას.

მისაბაძი ის არის, რომ საყოფაცხოვრებო მომსახურების ობიექტები კოლმეურნეობებმა თავიანთი სახსრებით ააგეს. ამ თაოსნობის სულისჩამდგმელი და ორგანიზატორები კომუნისტები იყვნენ. სოფლად ამ დიდმნიშვნელოვანმა სიახლემ ერთხელ კიდევ დაამტკიცა თუ რა დიდი შესაძლებლობა და ამოუწურავი რეზერვი შეიძლება გამოინახოს ჩვენს სოციალისტურ სოფელში ადამიანთა სიკეთისათვის, მისი გედნიერებისათვის.

ქვემოთ ვაქვეყნებთ წერილებს იმის შესახებ, თუ როგორ მიაღწიეს მახარაძის რაიონის კოლმეურნეობებში საყოფაცხოვრებო მომსახურების აღმავლობას.

ინდუსტრიულ საფუძველზე

მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურებაში, სოციალისტური სახალხო მეურნეობის შედარებით ამ ყველაზე ახალგაზრდა დარგში ინტენსიურად ინერგება შრომის ინდუსტრიული მეთოდები და მექანიზაცია. განვლილ ხუთწლედში მახარაძის რაიონში აშენდა და საექსპლოატაციოდ გადაეცა ისეთი მსხვილი ობიექტები, როგორიც არის ქალაქის საყოფაცხოვრებო მომსახურების სახლი, სილამაზის სალონი, ფეხსაცმლის მექანიზებული შეკეთების ატელიე, აბანო-საშხაპე, მამაკაცთა საპარიკმახერო სალონი, ავტომანქანების ტექნიკური მომსახურების სადგური და სატელევიზიო ატელიე. მათი საპროექტო-საძარჯთაღრიცხვო ღირებულება 290 ათას მანეთზე მეტია.

გასულ ხუთწლედში ამოქმედებული სიმძლავრეებიდან ყველაზე დიდია ქიმიური წმენდისა და რეცხვის ფაბრიკა, რომლის მშენებლობა 215 ათასი მანეთი დაჯდა. ფაბრიკის ამუშავება კარგი საჩუქარია ჩვენი მოსახლეობისათვის, პირველ რიგში კი დიასახლისებისათვის. — მათი ერთ-ერთი ყველაზე მძიმე და შრომატევადი სამუშაო — ტანსაცმლის წმენდა და თეთრეულის რეცხვა აქ ხორციელდება მექანიზებული წესით, უახლესი ტიპის სამამულო და იმპორტული ტექნოლოგიური მოწყობილობის გამოყენებით.

გადაწყვეტილია გაიხსნას ფაბრიკის მიმღები პუნქტები რაიონის ექვს სოფელში, აგრეთვე მეზობელ რაიონებში — ლანჩხუთსა და ჩოხატაურში.

ახალმშენებლობებისა და ტექნოლოგიური მოწყობილობების განახლებასთან ერთად ხორციელდება არსებული ობიექტების რეკონსტრუქცია, მანქანა-დანადგარების მოდერნიზაცია და საწარმოო სიმძლავრეთა შემდგომი გაფართოება. საწარმოთა ქსელის ყოველმხრივმა გაფართოებამ და მათი მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განმტკიცებამ განაპირობა მოსახლეობის სამუშაოთა მოცულობის მნიშვნელოვანი ზრდა. თუ 1966 წელს მოსახლეობას გაეწია 652 ათასი მანეთის მომსახურება, ხუთწლედის ბოლოს, 1970 წელს ამ ციფრმა 1.244 ათას მანეთს მიაღწია. ამ პერიოდში მომსახურების სამუშაოთა ოდენობა ერთ სულ მოსახლეზე რაიონში 8 მანეთ და 18 კაპიკიდან გაიზარდა 15 მანეთ და 40 კაპიკამდე.

კომპლექსური მომსახურების ობიექტების მშენებლობა დამთავრდა სახელგანთქმულ სოფელ ნატანებში. კოლმეურნეებს ბევრ დროს დაუზოგავს ტანსაცმლის შეკეთებისა და ინდივიდუალური კერვის ატელიე, საოჯახო ტექნიკისა და ფეხსაცმლის შემკეთებელი საამქრო, საპარიკმახერო და საყოფაცხოვრებო მომსახურების ყველა ის სხვა საწარმო, რომელიც განლაგდება ნატანების ახლად აშენებულ 30-ადგილიან ორსართულიან კომბინატში. ასეთივე კომბინატი შენდება სოფელ შრომაში.

პარტიის XXIV ყრილობის გადაწყვეტილებათა შესაბამისად მოსახლეობის ფასიანი მომსახურების სამუშაოთა მოცულობა მომდინარე ხუთწლედში სულ ცოტა ერთნორად მაინც უნდა გადიდდეს, რისთვისაც საყოფაცხოვრებო მომსახურების საწარმოთა ეფექტიანობის ამაღლებასთან ერთად კიდევ ბევრი ახალი ობიექტი აშენდება და ჩადგება მშრომელთა კეთილდღეობის სამსახურში.

მიმდინარე ხუთწლედში ფართო განვითარებას ჰპოვებს მოსახლეობის დაკვეთით ინდივიდუალური ბინათმშენებლობა და ბინათშეკეთება.

საყოფაცხოვრებო მომსახურების სისტემის მუშაკთა დიდი ენთუზიაზმი და პასუხისმგებლობა, პარტიული და საბჭოთა ორგანოების ყოველდღიური დახმარება და მზრუნველობა პარტიის XXIV ყრილობის ისტორიულ გადაწყვეტილებათა შესრულების მტკიცე და საიმედო გარანტიაა.

თ. კუნჭულია,
მთავარი ინჟინერი.



სურათზე: სოფელ ასკანის ბორის ძნელაძის სახელობის კოლმეურნეობაში ახლახან აშენებული საყოფაცხოვრებო მომსახურების კომბინატი.

ფოტო ნ. ერქომაიშვილისა.

ასკანელთა მადლობა

სოფელ ასკანის ბორის ძნელაძის სახელობის კოლმეურნეობის ტერიტორია მაღალმთიანია, რაიონულ ცენტრს 23 კილომეტრით არის დაშორებული და სოფლის შრომელთა საყოფაცხოვრებო მომსახურებაზე ზრუნვა ჩვენი კოლმეურნეობის გამგეობის, პირველადი პარტიული ორგანიზაციის ძირითად საზრუნავ საგანს შეადგენდა და შეადგენს. ამჟამად სოფელში საყოფაცხოვრებო მომსახურების შემდეგი ობიექტები მუშაობს: საპარიკმახერო, ფეხსაცმლის შემკეთებელი, ტანსაცმლის ინდივიდუალური კერვის სახელოსნოები, სოფლის შრომელთა ბინების შემკეთებელი, დურგალთა და მებეტონეთა ბრიგადა, წისქვილი, სახერხი, მავთულ-ბადის საქსოვი საამქრო, სამჭედლო და შემდუღებელი სახელოსნო.

ამჟამად ჩვენს კოლმეურნეს რაიონში ან სხვა ქალაქებში წასვლა არ დასჭირდება მისთვის საჭირო ასალი მშენებლობების საწარმოებლად, სპეციალისტების მოსაყვანად. ეს ყველაფერი ადგილზე გვაქვს.

პარტიის XXIV ყრილობის გადაწყვეტილებებმა და ახალი ხუთწლედის დირექტივებმა უფრო გაზარდა ჩვენი პასუხისმგებლობა მშრომელთა საყოფაცხოვრებო მომსახურების შემდგომი ზრდისათვის. ჩვენი სოფელი რადიო- და ელექტრიფიცირებულია, ამასთან სოფლის მშრომელთა ორ მესამედზე მეტს უდგას გაზქურები და ცისფერი ჟარანები.

გვაქვს აბანო, სატელეფონო საღგური ასი აბონენტით, ყველა ოჯახში ბახის წყლის ანკარა წყარო მოჩუხჩუხებს. გადაწყვეტილი გვაქვს ამ ობიექტების რემონტისა და ახლის შექმნაში მოსახლეობას გაგუწიოთ დახმარება. ამისათვის უახლოეს ხანში სოფელში გაიხსნება ელექტრო, რადიო, ტელევიზორისა და გაზმოწყობილობის სარემონტო სახელოსნო, რომლისთვისაც ბინა მზად გვაქვს.

ამ დიდ საქმეში თავიანთი წვლილი შეაქვთ კოლმეურნეობის კომუნისტებს ამჟამად მეურნეობის სხვადასხვა უბნებზე 70 კომუნისტი მუშაობს. აქედან ბრიგადირია 5 კომუნისტი. შრომის საუკეთესო მაგალითებს იძლევიან თინა ჯაველიძე, მეტია გაგუა, ნადია ვასაძე, სულიკო ნაცვალაძე, ეფლიანე ჯაველიძე, გივი ციციტინიძე, რონალდ ჭიშვილი, თამაზ ვასაძე და სხვები. საყოფაცხოვრებო მომსახურებაში კარგად მუშაობენ ო. ნაცვალაძე, ს. გიორგაძე.

კოლმეურნეობის გამგეობა, პარტიული ორგანიზაცია სამაგალითოდ ემსახურებიან ხალხს მომსახურების შემდგომი გაუმჯობესებისათვის. პარტიულ ბიუროსა და პარტიულ კრებებზე რეგულარულად განიხილება აღნიშნული საკითხები, რის შედეგად ყოველდღიურად უმჯობესდება მომსახურების დონე.

გ. ვასაძე,
სოფელ ასკანის კოლმეურნეობის თავმჯდომარე,
ნ. ჯაველიძე,
კოლმეურნეობის პარტორგანიზაციის მდივანი.

საკუთარი სამუალებებით

ოზურგეთში 1926 წლის 24 იანვარს ხელოსანთა და შინამრეწველთა ამხანაგობის დაარსების გაძო. გაზეთი „კომუნისტი“ წერდა, რომ ეს ამხანაგობა მიზნად ისახავდა „ურთიერთ დახმარების საშუალებით“ ხელი შეეწყოთ „გურიის შინამრეწველობის“ აღორძინებისათვის. რომელიც „საგრძნობლად შეხსტდა იმპერიალისტური ომის პერიოდში“.

ხელოსანთა და შინამრეწველთა ამხანაგობას ეკავა რამდენიმე ნაგებრად ბნელი, ნესტიანი სარდაფი. სადაც უკიდურესი კუსტარულობის პირობებში ეერავდნენ წუღებს, ყაბალახებს, შეკეთებდნენ ნავთქურებსა და ამზადებდნენ ცელს კავსა და ზოგიერთ სხვა საშეურნეო დანიშნულების იარაღს.

კუსტარული, პრიმიტიულად მოწყობილი წვრილი სახელოსნოებიდან თანამედროვე გემოვნებით მოწყობილ, უახლესი ტიპის მანქანა-დანადგარით აღჭურვილ მექანიზებულ საწარმოებამდე! — აი გზა, რომლითაც ვითარდებოდა მახარაძის რაიონის მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურება. რაიონში ფართოდ გაიშალა საყოფაცხოვრებო მომსახურების ობიექტების მშენებლობა; განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო სოფელს. ჩვენი სახელოვანი მეჩაიეებისა და მეციტრუსეების, მესანიდღეებისა და მეცხოველეების საყოფაცხოვრებო მომსახურების გაუმჯობესება გადაიქცა № 1 სარძოლო ამოცანად. ნატანებში, დვაბზუში, მაკვანეთში, მერიაში და რაიონის სხვა სოფლებში აშენდა ბინათშეკეთება - მშენებლობის მსჩვილი ობიექტები; სოფელ ქანიეთში შეიქმნა ავეჯის დამამზადებელი და შემკეთებელი საამქრო, რომელიც ჩვენი რაიონის მოსახლეობასთან ერთად ემსახურება მეზობელი ქობულეთის რაიონის კოლმეურნეებსაც. ახალი ობიექტები გაიხსნა გურიანთაში, ლიხაურში, ნასაკირალში, ნაგომარში, შემოქმედში.

მახარაძის მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების სამმართველოს სისტემაში ამჟამად 290 ობიექტია, რომლებშიც დასაქმებული 900-მდე სპეციალისტი-ხელოსანი რაიონის მოსახლეობას უწევს 140 სახის მომსახურებას; მომსახურების ბევრი ახალი სახე სულ ახლახან დაინერგა და მოსახლეობაში უკვე დიდი სახელი და პოპულარობა მოიხვეჭა.

პროდუქციის მაღალ ხარისხსა და მოსახლეობაში ყოველდღიურად მზარდ ავტორიტეტს განაპირობებს ხელოსან-სპეციალისტთა შესანიშნავი კადრები, რომლებიც სამმართველოს საწარმოებში მუშაობენ. ასეთებია: ელექტროხელსაწყოთა შემკეთებელი ნოდარ თენიეშვილი, დურგლები — ალექსანდრე კაშალომიძე და გივი ქუტიძე, პარიკმახერები — რეზო ანდღულაძე, ალექსანდრე პიატოგსკი, შოთა სალუქვაძე, სერგო ჩავლეშვილი, ფოტოგრაფი ნარიმან ერქომაიშვილი და სხვები.

ლაითურისა და ნასაკირალის ჩაის საბჭოთა მეურნეობებში საყოფაცხოვრებო მომსახურების მუშაკთა განსაკუთრებული ზრუნვის საგანია აჭარის მაღალმთიანი რაიონებიდან ჩამოსახლებული ოჯახების მომსახურება. ამ ოჯახებს ყოველდღიურად ესაჭიროებათ მომსახურების სფეროს მუშაკთა დამარება და ყურადღება.

მახარაძის რაიონის მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების მუშაკთა შრომას დიდი შეფასება მიეცა 1970 წელს. სამმართველოს კოლეტივი დაჯილდოდა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს და საკავშირო პროფსაბჭოს საიუბილეო ლენინური საპატიო სიგელით. ხუთწლედის დავალებათა წარმატებით განხორციელებისათვის „საპატიო ნიშნის“ ორდენებით დაჯილდოდნენ საამქროს უფროსი ვლადიმერ თალაკვაძე და მჭედელი პარმენ ფოცხიშვილი.

შესანიშნავი სტარტი აიღო სამმართველოს კოლეტივმა საბჭოთა საქართველოს საიუბილეო წელს. 1971 წლის პირველი კვარტალის საწარმოო დავალება შესრულებულ იქნა 117,1 პროცენტით, 262 ათასი მანეთის ნაცვლად მოსახლეობას გაეწია 306,9 ათასი მანეთის მომსახურება. ამ წარმატების მოპოვებისათვის სამმართველოს კოლეტივი დაჯილდოდა საქართველოს სსრ მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების სამინისტროსა და პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტის პრეზიდიუმის საპატიო საიუბილეო სიგელით.

მახარაძელები ამჟამად დაუღალავად შრომობენ პარტიის XXIV ყრილობის გადაწყვეტილებათა შესასრულებლად.

ა. სალუქვაძე.

ნასაკირალის ჩაის საბჭოთა მეურნეობის მშრომელებს კარგად ემსახურება სხვადასხვა სახელოსნოები. **სურათზე:** სამკერვალო სახელოსნოს ოსტატი — გამომჭრელი ვ. გოგბრონიძე (მარცხენივ) მუშაობის მომენტში.

ერსებითად ვაკაუჭჯობესოთ მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურება. უზრუნველვყოთ ყველა სახეობის მომსახურებაზე მშრომელთა მოთხოვნილების უფრო სრული დაკმაყოფილება, ავამაღლოთ მომსახურების ხარისხი, შევამციროთ შეკეთების შესრულების ვადები. ზანგავიმთარეთ საყოფაცხოვრებო მომსახურეგა როგორც ესხვილი მექანიზებული დარგი იმ საუძველზე, რომ გავაფართოოთ საყოფაცხოვრებო მომსახურების საწარმოთა ქსელი და აღვჭურვოთ ისინი თანამედროვე მანქანებით, მექანიზმებითა და მოწყობილობით..

(სკკპ XXIV ყრილობის დირექტივებიდან).

ამას წინათ რედაქციაში მივიღეთ წერილი, რომელიც ეხებოდა მახარაძის რაიონში მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების სანიმუშოდ მოწყობას. ამ პატარა ცნობამ გვაფიქრებინა ადგილზე გვენახა გაწეული სამუშაოები და მიღებული შედეგები. ვეწვიეთ ამ რაიონს და დავრწმუნდით, რომ ახლა რაიონში მოსახლეობის გაზრდილი მოთხოვნილების დაკმაყოფილებაში უთუოდ მისაბაძ მაგალითს გვიჩვენებს საყოფაცხოვრებო მომსახურეობის ობიექტების მუშაობა.

— საყოფაცხოვრებო მომსახურების საქმეში მახარაძელებს ისეთი ნაბიჯები აქვთ გადადგმული, — თქვა ჩვენთან საუბარში პარტიის მახარაძის რაიკომის პირველმა მდივანმა **ალექსანდრე თოლიძემ**, რომ პარტიული, საბჭოთა და სასოფლო-სამეურნეო ორგანოების მხარდაჭერის ღირსია. ამიტომაც გადაწყვიტეთ ამ შესანიშნავ ინიციატივას სათავეში ჩაუდგნენ პარტიული ორგანიზაციები და ყოველმხრივ ხელი შეუწყოთ საყოფაცხოვრებო მომსახურების დონის შემდგომ ამაღლებას, ფართოდ გავავრცელოთ მოწინავეთა გამოცდილება. ყველაზე საყურადღებო ის არის, რომ საყოფაცხოვრებო მომსახურების ობიექტებს კოლმეურნეობები თავიანთი სახსრებითაც აშენებენ.

მახარაძელთა შესანიშნავი წამოწყება უფრო მძლავრად შლის ფრთებს და განუწყვეტლივ იზრდება ადამიანთა მოთხოვნილების დაკმაყოფილება საყოფაცხოვრებო მომსახურებით ვინც რამდენიმე წელია არ ყოფილა მახარაძის რაიონის სოფლებში, კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში, ახლა წინანდელთან შედარებით ნამდვილად დიდ განსხვავებას ნახავს. ეს უწინარეს ყოვლისა ითქმის ახალი დარგის — საყოფაცხოვრებო ობიექტების განვითარებაზე. ამაში რომ დარწმუნდეთ, საკმაოა ეწვიოთ ნატანებს, სოფლებს შრომას, ასკანას, გურიანთას, ბობვაურს, მაკვანეთს, ცხემლისხიდს, ნასაკირალს და რომელიც გნებავთ სხვას... ამ სოფლების ტერიტორიაზე განლაგებულია ტანსაცმლის კერვის, რადიოს და ტელევიზორის შეკეთების, ფეხსაცმლის, ბინების ყრობს სკოლის სამსართულიანი შენობა. ცოტას გაივლით, და ნახავთ საყოფაცხოვრებო მომსახურების ორსართულიან და ერთსართულიან შენობებს. სამასკომლიანი სოფელი კომუნისტურად შრომობს და ცხოვრობს. თითქოს პატარა კოლმეურნეობაა, მაგრამ მისი ფულადი შემოსავალი ერთ მილიონ მანეთს აღემატება. ფეხსაცმლის, ტანსაცმლის, სარემონტო-სამონტაჟო, ბინების შეკეთების ობიექტები ამშვენებს სოფელს. აქვე შენდება ორსართულიანი შენობა ავტომობილებისა და ტრაქტორების დასაყენებლად და გასაწყობად. კოლმეურნეობას ბენზინის საკუთარი სვეტი მოუწყვია. აქვე შინმოუსვლელთა ობელისკის გვერდით ანთია მარადიული ცეცხლი...

მიხვალთ გურიანთაში და თვალწინ გადაგეშლებათ საყოფაცხოვრებო მომსახურების ობიექტები. აქეთ ფეხსაცმლის შეკეთებას უწონებენ ვ. გობრონიძეს. ეს-ეს არის დაბრუნდნენ სამუშაოდან ა. კვერღელიძე და შ. ქავკარაძე. ისინი მოსახლეობას უკეთებენ მავთულის ღობეებს, ჭიშკრებს, კიბეებს, კარებს და ბევრ სხვა რამეს.

ნასაკირალში წიწვოვანთა ხეივნის ორივე მხარეს ჩამწკრივებულია ახალნაგები ორსართულიანი სახლები. ეს მთიანი აჭარის სოფლებიდან, ჩოხატაურის რაიონის სოფელ ზოტიდან ჩამოსახლებულთა ბინებია. ამ წარმატებებში სერიოზული წვლილი შეაქვს საქართველოს სსრ საყოფაცხოვრებო მომსახურების სამინისტროს.

— ძალიან მომწონს ეს ადგილი. — გვითხრა ზოტიდან ჩამოსახლებულმა ა. ქათამაძემ. ჩვენს ოჯახში შვიდი სულია. სულ ზოტიდან თითქმის 90 ოჯახია ჩამოსული. აქ პირველად მე და ხ. ადაძე ჩამოვედით და დიდად კმაყოფილი ვართ. საყოფაცხოვრებო მომსახურებას აქვე გვიწევენ. იქ, ზერტში ყოფნისას ყოველ წვრილმან საქმეზე რაიონის ცენტრში ან სხვა რაიონში მივდიოდით.

ბევრ დიდ და სამვილიშვილო სამუშაოს ეწევა საყოფაცხოვრებო მომსახურების სამმართველო. გეგმებსაც გადაჭარბებით ასრულებს. მივმართოთ ზოგიერთ ციფრს. მიმდინარე ხუთ თვეში მოხსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების მოცულობამ 578.600 მანეთს მიაღწია, რაც გეგმის 111 პროცენტს შეადგენს. მარტო სოფლად ხუთ თვეში ეს სამუშაო შესრულებულია 107,3 პროცენტით.

ხედავთ ყველაფერ ამას და გული სიხარულით გევსებათ. მერე კი მშვიდად ამბობთ: ეს არის პარტიის XXIV ყრილობის გადაწყვეტილებათა ხორცშესხმის დიდებული ნაბიჯები; ეს არის დღევანდელი კოლმეურნეობების შესანიშნავი თაოსნობა, ჩვენი დროის სინამდვილე და ხვალინდელი ცხოვრების ანთებული ჩირაღდნები.

ნ. ჯანჯღავა,
ბ. ჩხაიძე,
„კომუნისტის“ სპეც. კორესპონდენტები.

ახალი კომბინატი

ხელოვნური ზამშის კაბები, მამაკაცის „ბოლონიის“ სპორტული ზედატანი და ლაბადები! ასეთი ასორტიმენტის საკონლის გამოშვებით დაიწყო მუშაობა ზახარაძის მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების ახლად შექმნილმა ტანსაცმლის კერვის კომბინატმა. ახლადგაკეთილი ორსართულიანი საყოფაცხოვრებო მომსახურების კომბინატი დაკომპლექტებულია კვალიფიციური კადრებით. უფროსი თაობის ხელოსან-სპეციალისტები— ლილი მამალაძე, გუგული კუპრაძე და თინა სიხარულიძე, ტანსაცმლის კერვის მოდელირებისა და კონსტრუირების ხელოსნები გამოცდილებას გადასცემენ იმ ახალგაზრდებს, რომლებიც ჩვენთან მოვიდნენ პირდაპირ სკოლის მერხებიდან. ასეთებია დალი კოპლატაძე, აღათი ზოიძე, მზია ქათამაძე და სხვები.

კომბინატის მიერ გამოშვებული პროდუქცია და მომსახურება მოწონებით სარგებლობს. ჩვენ გადაწყვეტილი გვაქვს გავაფართოოთ გამოშვებული პროდუქციის ასორტიმენტი და ავამაღლოთ მისი ხარისხი.

ამას წინათ ჩვენს კომბინატს ესტუმრა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატი, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ამხანაგი ვ. მჟავანაძე. მან დაათვალიერა კომბინატი, ესაუბრა მუშებს და გამოთხოვებისას უსურვა ახალი წარმატებანი მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების შემდგომი გაუმჯობესების საქმეში.

პარტიისა და მთავრობის მუდმივ მზრუნველობას ჩვენი კომბინატის კოლექტივი უპასუხებს მოსახლეობის მომსახურების გაუმჯობესებით, საწარმოო გეგმების გადაჭარბებით შესრულებით და საყოფაცხოვრებო სამსახურის კულტურის შემდგომი ამაღლებით.

რ. აროშიძე,
ზვანის საყოფაცხოვრებო მომსახურების კომბინატის საამქროს უფროსი.

მოწონებით სარგებლობს

სოფელ ბობვაურის მშრომელებს საუკეთესო მომსახურებას უწევს საყოფაცხოვრებო მომსახურების სამმართველოს ბობვაურის რკინისა და მოზაიკის წარმოება. აქ მზადდება მოზაიკის კიბის საფეხურები, მოზაიკის მაგიდები, სამშენებლო ბლოკები, მავთულის ბადე, რკინის ღობე, ეკლიანი მავთული და სხვა ნაკეთობანი.

ამასთან ერთად ჩვენი წარმოება ამზადებს იატაკს, ჭერს, კარ-ფანჯრებს, მაგიდებს და სხვ. ამ სამუშაოებს ვასრულებთ დაკვეთის მიხედვით. ჩვენი წარმოების ნაკეთობებზე დიდი მოთხოვნილებაა. მოწინავე ადამიანების სასახელოდ უნდა ითქვას, რომ ყველა საწარმოო გეგმა გადაჭარბებით სრულდება. წელს ხუთი თვის დაკალება შესრულებულია 134 პროცენტით. ამ საქმეში ღირსეული წვლილი შეაქვთ ნ. ჩხაიძეს, გ. სალუქვაძეს, გ. ბურჯუღაქეს, ჭ. გოგიტაშვილს და სხვებს. პირობას ვდებთ გავაუმჯობესოთ მუშაობა, რათა მომხმარებელმა ყოველთვეს გვითხრას: **კარგია!**

ზ. ჩავლეშვილი,
სოფელ ბობვაურის რკინისა და მოზაიკის წარმოების გამგე.



ბუთიოდე წლის წინათ სოფელ ასკანაში არ იყო საყოფაცხოვრებო მომსახურების ობიექტები, ამ სიძნელეს უფრო მეტად განიცდიდნენ მეჩაიეები, დიასახლისები. კაბისა თუ სხვა ტანსაცმლის შეკერვისათვის, ფეხსაცმლის შეკეთებისათვის, ავეჯის რემონტისათვის, ხე-ტყის მასალისათვის დიდ მანძილზე გვიხდებოდა წასვლა და, ცხადია, დღეებიც გვიცდებოდა.

ჩვენი სოფელი

ახლა გულს გვიხარებს ასეთი დიდი ზრუნვა სოფლის მოსახლეობისათვის. დამშვენდა, ქალაქს დაემსგავსა ჩვენი საყვარელი ასკანა. მეჩაიეთა შრომა უფრო ნაყოფიერი გახდა. დიასახლისები უმადლიან საყოფაცხოვრებო მომსახურების მუშაკებს. ეს კარგია, მაგრამ კიდევ ბევრია გასაკეთებელი და იმედი გვაქვს ამ ახალ ხუთწლედში ყველაფერი გაკეთდება მშრომელთა კეთილდღეობისათვის.

მაშინ საყოფაცხოვრებო მომსახურების მუშაკები მეჩაიეთა მადლობას კვლავაც დიამსახურებენ.

კლავდია ნაცვალაძე,
სოფელ ასკანის კოლმეურნეობის აგრონომი, სოციალისტური შრომის გმირი.

დიასახლისთა დამხმარე

ჩვენს სოფლის წარსულის მოგონება ზღაპარივით შეიძლება გადასცე ახალ თაობას. ძველად განსაკუთრებით ძნელი იყო დიასახლისების შრომის პირობები. ახლა ჭრაქის ნაცვლად ელექტრობა ჩახჩახებს, კერის კვამლის მაგიერ გაზქურებია. ქოხმაზრების ნაცვლად კეთილმოწყობილი ოდა-სახლები ძვირფას ავეჯს დაუშვენებია. სოფელში კულტურული ცხოვრება დამკვიდრდა.

სასიხარულოა, რომ ახლა დიდი ყურადღება ეთმობა სოფლის მშრომელთა საყოფაცხოვრებო მომსახურების გაუმჯობესებას. ამას პირველ რიგში დიასახლისები გრძნობენ. მათს შრომას მაღალნაყოფიერს ხდის სამკერვალო სახელოსნო, ფეხსაცმლისა თუ ავეჯის, საოჯახო ნივთების, ბინების შეკეთებელი ობიექტები, ელექტრობა, გაზქურები და ბევრი სხვა სახის სახელოსნოები.

გურიანთელებს შრომაც უყვართ და დასვენებაც. ამისათვის ერთ-ერთი მძლავრი ხელშემწყობი ფაქტორია საყოფაცხოვრებო მომსახურების მაღალ დონეზე დაყენება.

ნადია ზოიძე,
გურიანთის კოლმეურნეობის წევრი, დიასახლისი.

ნასაკირალში

მშრომელთა საყოფაცხოვრებო მომსახურება ნასაკირალის ჩაის საბჭოთა მეურნეობაში მაღალ დონეზეა დაყენებული. აქ განლაგებული ობიექტები ემსახურებიან მეურნეობაში არსებული ხუთი აგროგვაყოფილების 1.200 მუშა-მოსამსახურეს. მეურნეობაში გვაქვს ტანსაცმლის ინდივიდუალური შეკერვის და ფეხსაცმლის სახელოსნოები, საპარიკმახერო, ტელევიზორისა და რადიოს შეკეთებელი სახელოსნო.

მეურნეობის მშრომელებს კეთილსინდისიერად ემსახურებიან საყოფაცხოვრებო მომსახურების მუშაკები — ვალერიან გობრონიძე, სანდრო ღლონტი და სხვები. მათი მომსახურებით მშრომელები კმაყოფილნი არიან. მეურნეობაში ახლახან გადაეცა საექსპლოატაციოდ საყოფაცხოვრებო მომსახურების კომბინატის კეთილმოწყობილი ბინა.

1969-70 წლებში მაღალმთიანი ზონის სოფლებიდან მეურნეობაში ჩამოსახლებულ იქნა 237 ოჯახი, რომლებმაც მოკლე დროში მეურნეობის ხელშეწყობით კეთილმოწყობილი ბინები აიშენეს. მათთვის განსაკუთრებული პირობებია შექმნილი საყოფაცხოვრებო მომსახურების მხრივ. მათი დასახლების მახლობლად გახსნილია საპარიკმახერო, სამკერვალო და ფეხსაცმლის შემკეთებელი სახელოსნო.

ი. გოგელია,
ნასაკირალის ჩაის საბჭოთა მეურნეობის უფროსი აგრონომი.

ქარგი ხაჩუქარი მიიღეს ზვანის მშრომელებმა. აქ აშენდა ოცდაათადგილიანი საყოფაცხოვრებო მომსახურების კომბინატი. იგი უშვებს ფართო ასორტიმენტის ნაწარმს, რომელიც მოწონებით სარგებლობს მოსახლეობაში. ამ სურათზე თქვენ ხედავთ ზვანის საყოფაცხოვრებო მომსახურების კომბინატის შენობას.

ᲡᲘᲢᲧᲕᲐᲡ ᲕᲐᲫᲚᲔᲕᲗ ᲛᲝᲛᲮᲛᲐᲠᲔᲑᲚᲔᲑᲡ

მსოფლიო დღეს

მარად დარჩებიან ჩვენს ხსოვნაში

ლონდონი. დიდი მწუხარება და სამძიმარი გამოთქვეს „ჯოდრელ ბენკის“ ობსერვატორიის მუშაკებმა, რომლებიც მთელი ფრენის მანძილზე ყურადღებით ადევნებდნენ თვალს „სალუტ“ კოსმოსური სადგურის ხანგრძლივობის მხრივ უმაგალითო ორბიტულ ფრენას და საბჭოთა კოსმონავტების მუშაობას სადგურში. „ჯოდრელ ბენკის“ ობსერვატორიის მუშაკები, — თქვა მისმა ხელმძღვანელმა პროფესორმა ბერნარდ ლოველმა, — უღრმეს სამძიმარს უცხადებენ დაღუპული კოსმონავტების გიორგი დობროვოლსკის, ვიქტორ პაცაევისა და ვლადისლავ ვოლკოვის საბჭოთა კოლეგებსა და ოჯახებს“.

სამძიმარი გამოთქვა კემბრიჯის უნივერსიტეტის მიულარდის რადიოასტრონომიული ობსერვატორიის პროფესორმა მარტინ რაილმა, რომელმაც ხაზგასმით აღნიშნა, რომ კოსმოსის კვლევა დაკავშირებულია მძიმე მუშაობასთან და განუზომელ რისკთან. თავისი დაღუპვითაც კი, თქვა მან, კოსმონავტებმა დიდი სამსახური გაუწიეს მეცნიერებას, რადგან მათი დაღუპვის გარემოებათა შესწავლა საშუალებას შეუნარჩუნებს სხვა კოსმონავტებს მომავალი ფრენის დროს.

პარიზი. „ენობამ „სოიუზ-11“ კოსმოსური ხომალდის ეკიპაჟის დაღუპვის შესახებ შეიძრწუნა ფრანგები. „ყველამ ვიცით, რომ კოსმოსური სივრცის კვლევა ძნელი, ხიფათით აღსავსე გზაა, ხოლო კოსმონავტები გმირი, თავდადებული ადამიანები არიან, — განაცხადა საფრანგეთის რადიოს მეცნიერმა კომენტატორმა. — მაგრამ გულისტკივილს იწვევს იმათზე, ფიქრი, ვინც არაფერი, სიცოცხლეც კი არ დაეშურა და ჩაიდინა გმირობა“.

„ჩვენ ვიცით, რომ ადამიანები, რომლებიც პასუხს აგებენ საბჭოთა კოსმოსური პროგრამისათვის, ძალიან ზრუნავენ კოსმონავტთა სიცოცხლისათვის, — აღნიშნაეს თავის მხრივ ფრანს პრესის საagენტო, — და ეჭვიც არ არის, რომ სითრთხილის ყველა შესაძლო ღონისძიება იყო განხორციელებული“.

(საკდესი, 30 ივნისი).

შეწუდეს პროვოკაციები

ვაშინგტონი. 1 ივლისი. (საკდესი). საბჭოთა კავშირის საელჩომ ამერიკის შეერთებულ შტატებში პროტესტი განუცხადა სახელმწიფო დეპარტამენტს იმის წინააღმდეგ, რომ არ წყდება ამერიკელ სიონისტთა პროვოკაციული კამპანია.

მიუხედავად იმისა, რომ საბჭოთა საელჩომ არაერთხელ მიმართა ამერიკის ხელისუფლებს და მოსთხოვა აღიკვეთათ სიონისტთა დანაშაულებრივი მოქმედება, ხაზგასმულია საპროტესტო ნოტაში, ტეროროისტული ორგანიზაცია „ებრაელთა დაცვის ლიგა“ კვლავ დაუსჯელად ახორციელებს ბოროტ კამპანიას საბჭოთა მოქალაქეების წინააღმდეგ, რითაც უგულებელყოფს დადგენილ საერთაშორისო ნორმებს და არღვევს ამერიკის შეერთებული შტატების კანონებს.

სსრ კავშირის საელჩო ყურადღებას აპყრობს სახელმწიფო დეპარტამენტის 1970 წლის 20 მაისის მემორანდუმს „იმუნიტეტები, უფლებანი და პრივილეგიები, რომლებიც უცხოეთის მთავრობებსა და მათს წარმომადგენლებს ეძლევათ ამერიკის შეერთებულ შტატებში“, რომელშიც, კერძოდ, ნათქვამია, რომ დაისჯება „ყოველი პირი, რომელიც სტატუიერ შეურაცხყოფას მიაყენებს ან ფიზიკური ძალადობით დაემუქრება... ან მოქმედებით შეურაცხყოფს ელჩს თუ სხვა ოფიციალურ წარმომადგენელს საერთაშორისო სამართლის დარღვევით“.

მაგრამ, აღნიშნულია საპროტესტო ნოტაში, დღემდე არ ყოფილა შემთხვევა, რომ სიონისტური ორგანიზაციის წევრი ხულიგნები, რომლებიც ახორციელებენ ნიუ-იორკსა და ვაშინგტონში მყოფი საბჭოთა დიპლომატების წინააღმდეგ ძალადობის კამპანიას, დაესაჯოთ ამერიკის კანონების შესაბამისად.

უკანასკნელი რაუნდი

ლუსაკა. 1 ივლისი. (საკდესი). სოლსბერიდან მიღებული ცნობები მოწმობენ, რომ ლონდონსა და როდეზიელ რასისტებს შორის ხანგრძლივ დიპლომატიურ თამაშში დაიწყო ახალი და, შესაძლოა, უკანასკნელი რაუნდი.

გუშინ როდეზიელ რასისტთა დედაქალაქში ჩავიდა ინგლისის მთავრობის სპეციალური ემისარი ლორდი გუდმენი, რომელიც სათავეში ჩაუდგება ინგლისის „ბრიგადას“ მოლაპარაკებაში, რომელსაც პრაქტიკულად უკვე აწარმოებენ სოლსბერში ბრიტანეთის ფორინ ოფისის მოხელეები. გარდა ამისა, გუდმენის დასახმარებლად ინგლისის საგარეო საქმეთა სამინისტრომ გაგზავნა ფილიპ ადამსი, რომელიც საგარეო საქმეთა მინისტრის დუგლას-ჰიუმის ერთ-ერთ მთავარ თანამშემწედ ითვლება.

იუწყებიან, რომ როდეზიელ რასისტთა მეთაურმა იან სმიტმა მოაწყო მმართველი პარტიის „როდეზიის ფრონტის“ ლიდერთა საკანგებო თათბირი, რომელზეც მონაწილეებს აცნობა, რომ იწყება მოლაპარაკება.

ცნობებიდან ჩანს, რომ რასისტების წარმომადგენელნი მოლაპარაკებაზე კვლავ დაჟინებით მოითხოვენ მათი პირობების მიღებას, სახელდობრ — ეკონომიური სანქციების გაუქმებასა და ლონდონის მიერ ახლანდელი რეჟიმის ოფიციალურად ცნობას.

ვიზიტი...

ვაშინგტონი. 1 ივლისი. (საკდესი). ტელ-ავივიდან მიღებული ცნობების თანახმად, ამჟამად ისრაელში იმყოფება ამერიკის შეერთებული შტატების ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს დირექტორი რიჩარდ ჰელმსი, რომელსაც ახლავს თორნტი „მრჩეველი“.

მიუხედავად სასტიკი ცენზურისა, რომელიც ისრაელის ხელისუფლებამ შემოიღეს ამ ვიზიტისადმი მიძღვნილ ცნობებზე, ამერიკის პრესაში მაინც გავრცელდა ინფორმაცია იმის შესახებ, რომ ჰელმსი ისრაელში იმყოფება.

როგორც იუნაიტედ პრეს ინტერნეშნლის საagენტო იუწყება, ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს დირექტორმა გამართა საიდუმლო მოლაპარაკება პრემიერ-მინისტრ გ. მეირთან, თავდაცვის მინისტრ დაიანთან და საგარეო საქმეთა მინისტრ ებანთან, რომელთა მსვლელობაში განიხილეს არაბთა გაერთიანებულ რესპუბლიკასა და არაბული აღმოსავლეთის სხვა ქვეყნებში არსებული მდგომარეობა.

როგორც პრესის კომენტარებიდან ჩანს, ისრაელში ჰელმსის ვიზიტის ერთ-ერთი მთავარი მიზანია შეათანხმოს ისრაელის სადაზვერვო სამსახურების ძირგამომთხრელი საქმიანობა ამერიკის შეერთებული შტატების გეგმებთან ახლო აღმოსავლეთში.

უმაღლესი სასამართლოს გადაწყვეტილება

ვაშინგტონი. 1 ივლისი. (საკდესი). ამერიკის შეერთებული შტატების უმაღლესმა სასამართლომ 6 ხმით 3 ხმის წინააღმდეგ უარყო მთავრობის მტკიცება იმის შესახებ, რომ პენტაგონის დოკუმენტების გამოქვეყნებას ზიანი მოაქვს ამერიკის შეერთებული შტატების ეროვნული უშიშროებისათვის.

უმაღლესი სასამართლოს ეს გადაწყვეტილება ნიშნავს, რომ გაზეთებს „ნიუ-იორკ ტაიმსსა“ და „ვაშინგტონ პოსტს“ უფლება ეძლევათ განაგრძონ პენტაგონის მასალების ბეჭდვა.

უმაღლესი სასამართლოს გადაწყვეტილება მიღებულია მას შემდეგ, რაც პენტაგონის საიდუმლო მოხსენების მნიშვნელოვანი ნაწილი გამოაქვეყნეს ამერიკის გაზეთებმა ან გაამეღავნეს კონგრესმენებმა.

ტელეტაიპის ლენტიდან

● **პირველი ივლისიდან** იტალიაში გაძვირდა ყველა გაზეთი მოცულობის მიუხედავად. ახლა თვითეული ნომერი 80 ლირის ნაცვლად 90 ლირა ღირს. ეს იტალიაში [illegible] გაძვირებაა უკანასკნელი ორი წლის განმავლობაში. [illegible] ბიუჯეტის შესახებ გადაწყვეტილება მიიღო ფასების საკითხთა სამინისტროთაშორისო კომიტეტმა.

● **კოკისპირული ფუსონური** წვიმების შედეგად სამხრეთ ინ. დოეთის ქერალის შტატში დაიტბორა 50 ათასი აკრი ბრინჯის ნათესები, დაინგრა ან სერიოზულად დაზიანდა 10 ათასზე მეტი სახლი, უსახლკაროდ დარჩა 75 ათასამდე კაცი. როგორც ინდოეთის პრესის საagენტო იუწყება, წვიმებისა და მათგან გამოწვეული წყალდიდობის შედეგად დაზარალდა შტატის ათივე ადმინისტრაციული რაიონის მოსახლეობა. ადგილობრივი მთავრობა ახორციელებს დაზარალებულთათვის დახმარების ღონისძიებებს.

● **თვრამეტ წელს** მიღწეულმა ამერიკელებმა როგორც იყო მიიღეს არჩევნებში მონაწილეობის უფლება. ოჰაიოს შტატის საკანონმდებლო კრებამ გუშინ რატიფიცაცია უყო ამერიკის შეერთებული შტატების კონსტიტუციის 26-ე შესწორებას, რომლითაც 18 წლის მოქალაქეებს არჩევნებში მონაწილეობის უფლება ეძლევათ. კონგრესის მიერ წინათ მიღებული შესწორების ძალაში შესვლისათვის საჭირო იყო მისი რატიფიკაცია მოეხდინა 50 შტატიდან 38 შტატს. ოჰაიო სწორედ 38-ე შტატი გახდა.

● **ირანელი ხალხი** დიდი ხანია ოცნებობდა ირანში საკუთარი მძიმე ინდუსტრიის შექმნაზე, განაცხადა ქალაქ ისპაანში გამართულ მიტინგზე ირანის პრემიერ-მინისტრმა ა. ა. ჰოვეიდამ, მან ხაზგასმით აღნიშნა, რომ ახლა, როცა დიდი დრო აღარ დარჩა ისპაანის მეტალურგიული ქარხნის პირველი რიგის დამთავრებამდე, რომელიც საბჭოთა კავშირის ეკონომიური და ტექნიკური დახმარებით შენდება, ეს ოცნება წარმატებით ხორციელდება.

● **მალტის მთავრობამ** გამოაქვეყნა განცხადება, რომ მოახდინა 1964 წელს ინგლისის მიერ თავსმოხვეული თავდაცვის ხელშეკრულების დენონსაცია. მან ამერიკის მეექვსე ფლოტს სთხოვა გაშორდეს კუნძულს. მალტის მთავრობას, ხაზგასმულია განცხადებაში, მიაჩნია, რომ ამერიკის მეექვსე ფლოტის ხომალდების შესვლა კუნძულის ნავსადგურებში „მეკამად არ შეესაბამება ქვეყნის ინტერესებს“. იგი აგრეთვე აღნიშნავს, რომ მალტასა და ამერიკის შეერთებულ შტატებს შორის არ არსებობს არავითარი შეთანხმება ან ხელშეკრულება, რომელიც მეექვსე ფლოტს კუნძულზე ნავსადგურების გამოყენების უფლებას მისცემდა.

ჩინეთის კომპარტიის 50 წლისთავის გამო

საქართველოს კომპარტიის თბილისის კომიტეტის პლენუმი

30 ივნისს გაიმართა საქართველოს კომპარტიის თბილისის კომიტეტის მესამე პლენუმი. პლენუმი გახსნა საქართველოს კომპარტიის თბილისის კომიტეტის პირველმა მდივანმა ო. ლოლაშვილმა.

პლენუმმა მოისმინა საქართველოს კომპარტიის თბილისის კომიტეტის მეორე მდივნის ი. შევარდნაძის მოხსენება „ქალაქ თბილისის პარტიულ ორგანიზაციათა ამოცანები მშრომელთა კომუნისტური აღზრდის საქმეში ინტელიგენციის როლის გაძლიერებისათვის XXIV ყრილობის გადაწყვეტილებათა მიხედვით“.

დედაქალაქის პარტიულმა ორგანიზაციებმა, თქვა მომხსენებელმა, მნიშვნელოვნად გაუმჯობესეს იდეოლოგიური, აღმზრდელობითი და ორგანიზატორული მუშაობა. უფრო მრავალფეროვანი და ქმედითი გახდა პარტიული პროპაგანდა, ამაღლდა კომუნისტებისა და უპარტიო აქტივისტთა პოლიტიკური სწავლების დონე, გაძლიერდა ინტელიგენციის როლი მშრომელთა კომუნისტური აღზრდის საქმეში. ყოველივე ამან განაპირობა ქალაქის მშრომელების მიერ მერვე ხუთწლედის დავალებების, ახალი ხუთწლედის პირველი ნახევარი წლის გეგმებისა და სოციალისტური ვალდებულებების წარმატებით შესრულება.

მოხსენებაში ამბ. შევარდნაძემ ილაპარაკა ინტელიგენციასთან პირველადი პარტიული ორგანიზაციების მუშაობის გამოცდილებაზე, უმაღლესი სასწავლებლების, სკოლების, სამეცნიერო დაწესებულებების, მთელი რიგი სამრეწველო და ტრანსპორტის საწარმოთა პარტიული ორგანიზაციების, პარტიული კომიტეტების ლექტორთა ჯგუფების, საზოგადოება „ცოდნის“ საქალაქო და რაიონული ორგანიზაციების საქმიანობაზე.

მოხსენების გამო გამართულ კამათში მონაწილეობდნენ საქართველოს კომპარტიის თბილისის ორგანიზაციის კალინინის რაიკომის პირველი მდივანი ნ. რიგვავა, საქართველოს ლენინის სახელობის პოლიტექნიკური ინსტიტუტის რექტორი ი. ბუაჩიძე, ორჯონიკიძის სახელობის პირველი სამკერვალო ფაბრიკის მუშა ვ. პისარევა, თბილისის ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის აკადემიური თეატრის დირექტორი, საქართველოს სსრ სახალხო არტისტი დ. მჭედლიძე, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმის პირველადი პარტორგანიზაციის მდივანი გ. შენგელაია, კომკავშირის თბილისის საქალაქო კომიტეტის პირველი მდივანი ვ. ალავიძე, საქართველოს კომპარტიის თბილისის ორგანიზაციის ლენინის რაიკომის პირველი მდივანი ნ. ბერეტაგა.

ნახსმპარი საუკუნის წინათ, 1921 წლის 1 ივლისს შანხაიში გაიმართა ჩინეთის კომპარტიის პირველი ყრილობა. მან გამოაცხადა, რომ შეიქმნა ჩინეთის კომუნისტური პარტია — ახალი ტიპის პროლეტარული პარტია. ყრილობის დოკუმენტებში ნათქვამი იყო, რომ ჩინეთის კომპარტიის მიზანია პროლეტარიატის დიქტატურის დამყარება, სოციალიზმის აშენება, ბრძოლა კომუნიზმისათვის, რომ პარტია დაკავშირებულია კომუნისტურ ინტერნაციონალთან.

მას შემდეგ ჩინეთის კომპარტიამ განვლო დიდი და ძნელი გზა. პარტია ჩაუდგა სათავეში ჩინელი ხალხის ბრძოლას ეროვნული და სოციალური განთავისუფლებისათვის, გამამარჯვებინა მას რევოლუციაში და წარმართა ჩინეთი განვითარების სოციალისტური გზით. ჩინეთის კომპარტიამ იმიტომ შეძლო ამ ამოცანის შესრულება, რომ კომუნისტები, რომლებიც ხელმძღვანელობდნენ მარქსიზმ-ლენინიზმის დიადი მოძღვრებით, გამოხატავდნენ ხალხის მისწრაფებებს და განუწყვეტლივ იბრძოდნენ იმპერიალიზმის, კომპრადორული ბურჟუაზიისა და ფეოდალების, წვრილბურჟუაზიული რევოლუციურობის, „მემარცხენე“ და მემარჯვენე გადახრების, შოვინიზმისა და ნაციონალიზმის წინააღმდეგ. ჩინეთის კომპარტიის ისტორიის დამახასიათებელი თავისებურებაა პარტიის მარქსისტულ-ლენინური, ინტერნაციონალისტური ძალების განუწყვეტელი ბრძოლა წვრილბურჟუაზიული, ნაციონალისტური ძალების წინააღმდეგ მეცნიერული კომუნიზმის იდეალების გასამარჯვებლად.

1.

ჩინეთის კომპარტია შეიქმნა ჩინეთის ახალგაზრდა მუშათა კლასის პოლიტიკური აქტივობის ზრდის, დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის, ახალგაზრდა საბჭოთა რუსეთის წარმატებების ზეგავლენით ქვეყანაში რევოლუციურ-დემოკრატიული და ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის აღმავლობის შედეგად.

ჩინეთში მარქსიზმის პირველი პროპაგანდისტი, შემდგომში ჩინეთის კომპარტიის ერთ-ერთი დამაარსებელი და მისი წამყვანი თეორეტიკოსი, კომუნისტი ინტერნაციონალისტი დ-ა-ჯაო ასე წერდა ჩინეთისათვის ოქტომბრის რევოლუციის გამოცდილების მნიშვნელობის შესახებ: „სიამაყით უნდა მივესალმოთ რუსეთის რევოლუციას, როგორც ახალი მსოფლიო ცივილიზაციის შუქს. გულდასმით უნდა მივუგდოთ ყური ახალი რუსეთიდან მოსულ ცნობებს, რომელიც შენდება თავისუფლებისა და კუმანიზმის პრინციპების საფუძველზე. მხოლოდ მაშინ აკუწყობთ ფეხს მსოფლიო პროგრესს“.

ჩინეთში ბრძოლა მშრომელთა სოციალური განთავისუფლებისათვის მჭიდროდ უკავშირდებოდა ანტიიმპერიალისტური ბრძოლის ამოცანებს. სწორედ იმპერიალიზმი, რომელმაც თავის ნახევარკოლონიად გადააქცია ქვეყანა, იმ პერიოდში მთავარი დაბრკოლება იყო რევოლუციის გზაზე. განმათავისუფლებელ ბრძოლაში, რომელიც ჩინეთის კომპარტიის ხელმძღვანელობით განაღდა, განსაკუთრებით ცხადად დადასტურდა ლენინის დასკვნა, რომ კაპიტალი „საერთაშორისო ძალაა“. „ამ ძალის დასაბარცხებლად, — გვასწავლიდა ვ. ი. ლენინი, — საჭიროა მუშათა საერთაშორისო კავშირი, მათი საერთაშორისო ძმობა“. ჩინეთის კომპარტიის, ჩინეთის მშრომელების ასეთი საიმედო მოკავშირე გახდნენ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია, საბჭოთა ხალხი, მსოფლიო კომუნისტური და მუშათა მოძრაობა.

კომინტერნმა და საბჭოთა კომუნისტებმა ჩინელ რევოლუციონერებს გაუწიეს საჭირო პრაქტიკული დახმარება პირველი მარქსისტული წრეების ორგანიზაციაში, რომლებიც ჩინეთში შეიქმნა ანტიიმპერიალისტური 1919 წლის „4 მაისის მოძრაობის“ შემდეგ, პროლეტარული მარქსისტულ-ლენინური იდეოლოგიის ბაზაზე მათს გაერთიანებაში. კომინტერნის II კონგრესის გადაწყვეტილებებმა, ვ. ი. ლენინის სიტყვამ ეროვნულ და კოლონიურ საკითხებზე იმპულსი მისცეს და ჩინელ რევოლუციონერ-მარქსისტთა გაერთიანების იდეური საფუძველი გახდნენ. კომინტერნი დიდ დახმარებას უწევდა ჩინელ რევოლუციონერებს მარქსიზმ-ლენინიზმის თეორიის, ბოლშევიკების ლენინური პარტიის გამოცდილების ათვისებაში.

თავისი შექმნის დღიდანვე ჩინეთის კომპარტია აღმოჩნდა ეროვნულ-დემოკრატიული რევოლუციის ქარცეცხლში და გამოვიდა ანტიიმპერიალისტური, ანტიფეოდალური პროგრამით. ჩინეთის კომპარტიის პირველი ყრილობიდან მოსამე ყრილობამდე, ესე იგი 1924 წლამდე მიმდინარეობდა პარტიის ორგანიზაციული და იდეური ზრდის პროცესი. 1922 წელს ჩინეთის კომპარტია მიიღეს კომინტერნში. III ყრილობაზე (1923 წელი) პარტიამ დასახა გამინდანთან ერთიანი ეროვნულ-რევოლუციური ფრონტის კურსი. იმ წლებში გომინდანს ხელმძღვანელობდა დიდი რევოლუციონერი-დემოკრატი სუნ იატ-სენი.

ჩინეთში ძლიერდებოდა ხალხის ფართო მასების ანტიიმპერიალისტური გამოსვლები, რომელთა მოთავე იყო მუშათა კლასი. სწორედ ამიტომ ჩინეთის კომუნისტური პარტიისათვის ამ პერიოდში მწვავედ დადგა საკითხი დაემყარებინა პროლეტარიატის ჰეგემონია ეროვნულ რევოლუციაში. ჰონკონგ-კანტონის მეზღვაურთა გაფიცვის, შანხაის პროლეტარიატის საყოველთაო გაფიცვის გამოცდილებამ, ქვეყანაში ვლეთა მოძრაობის ზრდამ დაადასტურა, რომ სწორედ პროლეტარიატი პარტიის მთავარი დასაყრდენი, რევოლუციის ავანგარდი, ხოლო გლეხობა — პროლეტარიატის ძირითადი მოკავშირე, რომლის მხარდაუჭერლადაც რევოლუციის გამარჯვება ჩინეთში შეუძლებელია.

გომინდანის მემარჯვენე ფრთის კონტრრევოლუციერმა გადატრიალებამ (1927 წელი) ჩან კაი-შის მეთაურობით გამოიწვია ერთიანი ფრონტის გათიშვა. ჩინეთის კომუნისტურ პარტიასა და მის თანამგრძნობთ თავს დაატყდათ სისხლიანი ტერორი, რომლის მსხვერპლი აღმოჩნდა ჩინელი ხალხის ასეული ათასობით შვილი. დაღუპულთა შორის იყვნენ ჩინეთის კომუნისტური პარტიის გამოჩენილი მოღვაწეები; ჩინეთის კომუნისტური პარტიის გენერალური მდივანი სიან ჯუნ-ფა და ცუეკიუ-ბო, ალეხთა მოძრაობის გამოჩენილი ხელმძღვანელი პენ-ბაი, ჩინეთის კომუნისტური პარტიის ერთ-ერთი ლიდერი და კომკავშირის ორგანიზატორი ჩინეთში ჯან ტაი-ლეი, განიკმეცილი კანტონის კომუნის ხელმძღვანელი სუ ჯაო-ჯენი, ჩინეთის კომუნისტური პარტიის ერთ-ერთი პირველი რევოლუციური ბაზის დამაარსებელი ფან ჯი-მინი და მრავალი, მრავალი სხვა.

მდგომარეობას ართულებდა ისიც, რომ ამ პერიოდში ჩინეთის კომუნისტურ პარტიაში გამოვიდნენ მემარჯვენე გადამბრალთა ხაზი, რომელიც იწვევდა პარტიის კავშირის გათიშვას მასებთან, აბრკოლებდა მსოფლიო კომუნისტური მოძრაობის გამოცდილების გამოყენებას, კომინტერნის რეკომენდაციების განხორციელებას. ჩინეთის კომუნისტური პარტიის VI ყრილობამ, რომელიც პარტიისათვის ამ კრიტიკულ მომენტში (1928 წელი) შეიკრიბა, განიხილა პარტიის ამოცანები ახალი სიტუაციაში. ყრილობის გადაწყვეტილებანი შეიმუშავეს რევოლუციური მოძრაობის საერთაშორისო გამოცდილების ათვალისწინებით და ეხებოდა ისეთ ძირეულ საკითხებს, როგორიც არის აგრარული რევოლუციის გაშლის სტრატეგია და ტაქტიკა, შეიარაღებული ძალების მშენებლობა, საყრდენი ბაზების შექმნა სასოფლო რაიონებში, ამ ყრილობის მიერ შემუშავებულმა მითითებამ განსაზღვრა ჩინეთის რევოლუციის განვითარების გზები.

20-ანი წლების დამლევი და 30-ანი წლების პირველი ნახევარი კვლავ ძალიან რთული აღმოჩნდა პარტიისათვის. კომუნისტებს განუწყვეტლივ სდევნიდა რეაქცია, ხოლო თვით პარტიაში გააქტიურდნენ წვრილბურჟუაზიული ელემენტები, რომლებმაც 30-ანი წლების შუა ხანებში ხელთ იგდეს საკვანძო პოზიციები პარტიაში.

ტერორს ჩინეთის კომუნისტური პარტიის წინააღმდეგ ჩანკაიშელები ერთდროულად უწევდნენ ანტისაბჭოთა კამპანიასთან, შემდეგ კი საბჭოთა კავშირ-ჩინეთის საზღვარზე შეიარაღებულ პროვოკაციებთან ერთად. ჩინელი ინტერნაციონალისტი კომუნისტები გადაჭრით ამხილებდნენ ჩან კაი-შის დებულების რეაქციულ აზრს, რომელიც მოუწოდებდა საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ ომისათვის, ცდილობდა სსრ კავშირისათვის წაეგლეჯინა „წითელი იმპერიალიზმის“ ციელისმფამებლური ბრალდება.

ცნობილია, თუ რა უბედურება მოუტანა ჩინელ ხალხს ამ კონტრრევოლუციერმა კურსმა, როგორც შემდგომმა ამბებმა გვიჩვენეს, ყოველთვის, როცა ჩინეთის მოძულენი, სოციალიზმის მტრები ქვეყნის შიგნით შეეცდებოდნენ შეენილებინათ რევოლუციური მოძრაობა, სხვა მიმართულება მიეცათ მისთვის, ისინი აუცილებლად აძლიერებდნენ ანტისაბჭოთა ისტერიას, ასე იყო ჩინეთის განთავისუფლებისათვის ბრძოლის წლებში, ასე მოიქცნენ შემდგომ ნაციონალისტური და ბურჟუაზიული ელემენტები.

ჩინეთის კომპარტიისათვის იმ ძნელ პერიოდში საბჭოთა კომუნისტები იყვნენ ჩინელ პატრიოტთა დაცვის მძლავრი საერთაშორისო მოძრაობის ინიციატორები. კომინტერნმა მოუწოდა მსოფლიოს ყველა კომუნისტს „ხელჩაჭიდებულ დაეხმარათ მსარი ჩინეთის რევოლუციისათვის“.

ჩინეთის წინააღმდეგ იაპონიის იმპერიალიზმის აგრესიამ გამოიწვია ძალების გადაჯგუფება ქვეყანაში და ინტერში დაიყენა ეროვნული ხსნის საკითხი. 1936 წელს კომინტერნში გამოსვლისას გ. დიმიტროვმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ ჩინეთის კომუნისტური პარტიის ამოცანაა „გაიერთიანოს ჩინელი ხალხის დიდი უმრავლესობა იაპონელ დამპყრობთა წინააღმდეგ“. ჩინეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა გამოიჩინა ერთიანი ანტიიაპონური ფრონტის შექმნის ინიციატივა. ეს ლოზუნგი შეესაბამებოდა ჩინელი ხალხის ძირეულ ინტერესებს, ანტიიაპონურ ბრძოლაში თავიანი დიდმნიშვნელოვანი როლის შედეგად ჩინეთის კომუნისტური პარტია ყველაზე გავლენიანი ეროვნული ძალა გახდა.

იაპონის წინააღმდეგ ომი ხანგრძლივი და ძნელი იყო. იაპონელ დამპყრობთაგან ჩინეთის საბოლოო განთავისუფლება შესაძლებელი გახდა ჰიტლერული ფაშიზმისა და იაპონის მილიტარიზმის დამარცხების შედეგად. იმპერიალიზმის ყველაზე რეაქტიული ძალების გამარჯვების მიღწევამი და დამყენებელი როლი შეასრულა საბჭოთა კავშირმა. ამან ყველაზე ხელშემწყობი პირობები შექმნა ევროპისა და აზიის მთელ რიგ ქვეყნებში, მათ შორის ჩინეთში, სახალხო რევოლუციების გამარჯვებისათვის. საბჭოთა კავშირის განმათავისუფლებელმა მისიამ შორეულ აღმოსავლეთში, იაპონიის რიგული კვანტუნის არმიის დამარცხებამ, მანჯურიის განთავისუფლებამ მნიშვნელოვანი სარგებელი მოუტანა ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის მეობრებს, ჩინელი და კორეელი პატრიოტების აქტიური მონაწილეობით გამოიწვია არა მარტო იაპონიის კაპიტულაცია და ჩინეთის განთავისუფლება უცხოთის მონობისაგან, არამედ აგრეთვე წინასწარ განსაზღვრა ჩანკაიშელთა მომავალი დამარცხების შესაძლებლობანი. საბჭოთა კავშირის წყალობით ჩინეთმა თავიდან აიცილა ამერიკის ინტერვენცია.

ჩინეთის რევოლუციის გამარჯვებისათვის უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა სამხედრო-რევოლუციურ ბაზის, რომელიც ჩინელმა კომუნისტებმა შექმნეს მანჯურიაში საბჭოთა არმიისა და საბჭოთა სამოკალაქო სპეციალისტთა დახმარებით. ეს იყო ის ლაბორატორია, რომელსაც ეყრდნობოდა რეორგანიზებული, ხელახლა გაწყრთნილი და შეიარაღებული სახალხო-განმათავისუფლებელი არმია, რომელმაც ჩინეთის კომპარტიის ხელმძღვანელობით გომინდანელი რეაქციონერები გაძევა ჩინეთიდან.

ჩინეთის ანტიიმპერიალისტური, ანტიფეოდალური დემოკრატიული რევოლუციის გამარჯვება უდიდესი მოვლენა იყო, რომელმაც სერიოზული გავლენა მოახდინა მთელ მსოფლიო განვითარებაზე. ამ რევოლუციის წარმატება ჩინეთში მარქსიზმ-ლენინიზმის გამარჯვება იყო. ინტერნაციონალურმა სოლიდარობამ, ჩინელ რევოლუციონერთა მჭიდრო კავშირმა საერთაშორისო კომუნისტურ და მუშათა მოძრაობასთან, საბჭოთა კავშირისა და მსოფლიო სოციალისტური სისტემის სხვა ქვეყნების დახმარებამ უზრუნველყვეს გამარჯვება ჩინელი ხალხის, ჩინელი მუშების, გლეხებისა და ინტელიგენციის მრავალი წლის თავდადებულ ბრძოლაში, რომელსაც ჩინეთის კომპარტია ხელმძღვანელობდა.

2.

რევოლუციის გამარჯვებამ ჩინელ ხალხს დაუსახა პოლიტიკურ, სოციალურ და ეკონომიურ დარგებში ძირეულ გარდაქმნათა გზა. რევოლუციის შემდგომი განვითარების ობიექტური საჭიროებანი, ჩინეთის დადგომა სოციალისტურ გზაზე, აგრეთვე იმპერიალიზმის მუქარა ჩინეთს უკარნახებდნენ, რომ ყველაზე მჭიდრო მეგობრული ურთიერთობა დაემყარებინა სსრ კავშირთან და სხვა სოციალისტურ ქვეყნებთან, რომლებსაც შეეძლოთ ჩინეთის სახალხო რესპუბლიკისათვის გაუწიათ საჭირო პოლიტიკური, სამხედრო და ეკონომიური მხარდაჭერა და დახმარება.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია, საბჭოთა ხალხი, რომლებიც ერთგულად იცავენ პროლეტარული, სოციალისტური ინტერნაციონალიზმის დიად პრინციპებს, ისევე როგორც რევოლუციური ბრძოლის წლებში, ჩინელ ხალხს უწევდნენ მთელ საჭირო მხარდაჭერას სოციალიზმის მშენებლობაში. სსრ კავშირის დახმარებიო ჩინეთში აშენდა 250-ზე მეტი დიდი თანამედროვე სამრეწველო საწარმო და ობიექტი. როგორც ჩინეთის კომპარტიის ხელმძღვანელები აღიარებდნენ, ეს საწარმოები „ჩინეთის მრეწველობის ბირთვი“ გახდა. „საბჭოთა კავშირის დახმარება ჩვენი ქვეყნის ეკონომიურ მშენებლობაში, — წერდა მაშინ „ჟენმინ ჟიბაო“, — როგორც რაოდენობრივად, ისე მასშტაბით უპრეცედენტია ისტორიაში“.

პირველ ათწლეულში ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის შექმნის შემდეგ ქვეყანაში საოჯახეული ჩაგვარა სოციალიზმს, შეიქმნა ის ეკონომიური ბაზისი, რომელიც სახავდა სოციალისტური მშენებლობის შემდგომი გაშლის შესაძლებლობებს.

1956 წელს გაიმართა ჩინეთის კომუნისტური პარტიის VIII ყრილობა, რომელსაც განსაკუთრებული ადგილი უჭირავს პარტიის ისტორიაში, ჩინელი ხალხის ცხოვრებაში. ყრილობამ ნაიარა პარტიაში მარქსისტულ-ლენინური ძალების განმტკიცების ნიშნით. მან დაადასტურა ზენერალური ხაზი სოციალიზმის მშენებლობისა სოციალიზმის მსოფლიო სისტემის ქვეყნებთან მჭიდრო კავშირით.

ჩინეთის კომუნისტური პარტიის VIII ყრილობამ პრინციპული პასუხი გასცა იდეოლოგიასა და პოლიტიკაში ნაციონალისტურ და შოვინისტურ ტენდენციებს, რომლებიც თავს იჩენდა პარტიასა და ქვეყანაში. ყრილობის მიერ მიღებულ ჩინეთის კომუნისტური პარტიის წესდებაში „პროგრამის ძირითად დებულებებში“ გადაჭრით იყო აღნიშნული პარტიის იდეურ-თეორიული საფუძველი: „ჩინეთის კომუნისტური პარტია თავის საქმიანობაში ხელმძღვანელობს მარქსიზმ-ლენინიზმით“.

დასახა რა სოციალისტური გარდაქმნების განგრძობის კონკრეტული გზები და განსაზღვრა ქვეყნის სახალხო მეურნეობის განვითარების უმნიშვნელოვანესი ამოცანები, VIII ყრილობამ ხაზგასმით აღნიშნა, რომ პარტიის მთელი მუშაობის ძირითადი მიზანია „ხალხის ცხოვრების მატერიალური და კულტურული მოთხოვნილებების მაქსიმალური დაკმაყოფილება“.

საგარეო პოლიტიკის დარგში ყრილობამ უპირველესი მნიშვნელობის ამოცანად განსაზღვრა ის, რომ „საერთო კვლავ მტკიცდებოდეს და ძლიერდებოდეს მარადიული და ურღვევი ძმური მეგობრობა დიდ საბჭოთა კავშირთან და სახალხო დემოკრატიის ყველა ქვეყანასთან“.

შეგნებული ჰქონდა რა, თუ რა რთული იყო პარტიისა და ქვეყნის წინაშე მდგომი სოციალისტური მშენებლობის ამოცანები, ითვალისწინებდა რა ჩინეთის კომუნისტური პარტიის განვითარების გაგვითლებს, ყრილობამ პარტიას მოუწოდა სიფხიზლისაკენ, მტკიცე ბრძოლისათვის ჯიდმკურნალური შოვინიზმის, წვრილბურჟუაზიული ბუციონალისტური იდეოლოგიის ყოველგვარ გამოვლინებათა წინააღმდეგ. VIII ყრილობის რეზოლუციაში ნათქვამი იყო: „თუ მოვექცევით არაპროლეტარული იდეოლოგიის გავლენაში, გავყოყოჩდებით და თვითდამშვიდებას მივეცემთ, უეიოდველად მივიჩნევთ თავს და არ ვეისწავლით მთელი მოკრძალებით. მაშინ თავიდან ვერ ავიცილებთ სუბიექტივიზმ

ბრძანებულება

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

საქართველოს სსრ დამსახურებული ბუღალტრის საპატიო წოდების მინიჭების შესახებ

კიკნაძეს გიორგი ივანეს-ძეს — საქართველოს სსრ სახალხო კონტროლის კომიტეტის განყოფილების ინსპექტორს.

კინწურაშვილს სერგო ვასილის-ძეს — „საჭიტყესაშენებაჭრობის“ მთავარ ბუღალტერს.

კობალაძეს სევერიან მიხეილის-ძეს — საქართველოს სსრ ვაჭრობის სამინისტროს განყოფილების უფროსოს მოადგილეს.

კობიაშვილს მარიამ მოსეს ასულს — საქართველოს სსრ მხატვართა კავშირის მთავარ ბუღალტერს.

კოკაიას ანა რომანოზის ასულს — საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს რესპუბლიკური სანეპიდსადგურის მთავარ ბუღალტერს.

კოკოევს გიორგი ანდრიას-ძეს — სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის საოლქო საფინანსო განყოფილების მთავარ ბუღალტერს.

კორშიას აკაკი გიორგის-ძეს — ტრესტ „საქმაურკონდიტერი“ თბილისის პურკომბინატის მთავარ ბუღალტერს.

კუკულაძეს გივი ნიკოლოზის-ძეს — რუსთავის საზოგადოებრივი კვების ტრესტის საკონტროლო-სარევიზიო ჯგუფის უფროსს.

კუპრაძეს გოგუცა ილარიონის-ასულს — საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის საქმეთა მმართველობის უფროს ბუღალტერს.

კუძეიშვილს გიორგი ადიკოს-ძეს ტრესტ „საქმშენნდუსტრიის“ მთავარ ბუღალტერს.

ლავრენჩენკოს ვლადიმერ კონსტანტინეს-ძეს — კომბინატ „საქნახშირის“ მთავარ ბუღალტერს.

ლაპშინს თევდორე დიმიტრის-ძეს — თბილისის რესტორნების და კაფეების ტრესტის მთავარ ბუღალტერს.

ლაცუზბაიას ლევარსა გუჯას-ძეს —გალის რაიონის სოფელ ოქურეშის ლენინის სახელობის კოლმეურნეობის მთავარ ბუღალტერს.

ლეკვეიშვილს გრიგოლ სპირიდონის-ძეს — საქართველოს სსრ სასოფლო მშენებლობის სამინისტროს მთავარ ბუღალტერს.

ლომიძეს გიორგი ნიკოლოზის-ძეს — „საქმთაეენერგოს“ მთავარი სამმართველოს მთავარ ბუღალტერს.

ლომიძეს ელიზბარ ივანეს-ძეს — ციკავშირის ცენტრალური ბუღალტერიის მთავარი ბუღალტრის მოადგილეს.

ლომიძეს ვასილ ალექსანდრეს-ძეს — საქართველოს სსრ კვების მრეწველობის სამინისტროს ცენტრალური ბუღალტერიის უფროსის მოადგილეს.

ლომიძეს შალვა იაკობის-ძეს — ბორჯომის რაიონის ცენტრალური შენსახელი სალაროს მთავარ ბუღალტერს.

ლორთქიფანიძეს ლუბა ბარნაბის ასულს — ცხაკაიას მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების სამმართველოს მთავარ ბუღალტერს.

მალანიას ანდრონიკე აქვსენტის-ძეს — გალის რაიონის სოფლის მეურნეობის სამმართველოს მთავარ ბუღალტერს.

მამალაძეს ვასტანგ სამსონის-ძეს — საქართველოს სსრ სოციალური უზრუნველყოფის სამინისტროს თბილისის სასწავლო საწარმოო სკოლის უფროს ბუღალტერს.

მამალაძეს სეით დომენტის-ძეს — სოხუმის „შელკის“ კულტურის საცდელი სადგურის უფროს ბუღალტერს.

მამასახლისს შოთა ივანეს-ძეს — ლილოს საშენ მასალათა მრეწველობის კომბინატის მთავარ ბუღალტერს.

მანასიანს ქეროფ სეროფის-ძეს — საქართველოს სსრ დამზადების სამინისტროს ახალციხის პურეულის პროდუქტების ბაზის უფროსს.

მანჯგალაძეს ლუბა ივანეს ასულს — სამტრედიის მებოსტნეობის საბჭოთა მეურნეობის მთავარ ბუღალტერს.

მარშანიას ქეთევან ოლეფანტეს ასულს — „თბილტანსაცმელკავშირობის“ მთავარ ბუღალტერს.

მატარაძეს ქეთევან ვარლამის ასულს — ქუთაისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომის საფინანსო განყოფილების ბიუჯეტის მთავარ ბუღალტერს.

მაღრაძეს ვლადიმერ მეტოს-ძეს — საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სატაპო მეურნეობის სახელმწიფო კომიტეტის რევიზორ-ბუღალტერს.

მაღრაძეს ნინო გიორგის ასულს — ორჯონიკიძის სახელობის კულტურისა და დასვენების ცენტრალური პარკის მთავარ ბუღალტერს.

მახარაძეს ოფელია კაპიტონის ასულს — გარდაბნის რაიონის მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასკომის უფროს ბუღალტერს.

მგელაძეს გრიგოლ ლუარსაბის-ძეს — აჭარის სსრ ფინანსთა სამინისტროს ბიუჯეტის მთავარ ბუღალტერს.

მდინარაძეს მარიამ სიმონის ასულს — საქართველოს სსრ საავტომობილო გზების სამინისტროს № 29 საგზაო სეექსპლოატაციო უბნის უფროს ბუღალტერს.

მელნიკს კლავდია მინას ასულს — ქუთაისის ლითოფონის ქარხნის მთავარ ბუღალტერს.

მელიქ-მარუტოვს სერგო ქრისტეფორეს-ძეს — სამხედრო ვაჭრობის მთავარი ბუღალტრის მოადგილეს.

მერაბიშვილს იოსებ სერგოს-ძეს — ბოლნისის რაიონის სოფლის მეურნეობის სამმართველოს მთავარ ბუღალტერს.

მინდიაშვილს დავით ალექსანდრეს-ძეს — საქართველოს სსრ საავტომობილო გზების სამინისტროს საგზაო-სარემონტო-სამშენებლო ტრესტის მთავარ ბუღალტერს.

მირზაშვილს ირაკლი მიხეილის-ძეს — გორის რაიონის საკოლმეურნეობათაშორისო კოოპერირებული წყალსადენის კომიტეტის მთავარ ბუღალტერს.

მიქაბერიძეს აკაკი დავითის-ძეს — საქართველოს სსრ მსუბუქი მრეწველობის სამინისტროს მთავარ ბუღალტერს.

მიქავტაძეს ციცინო ივანეს ასულს — ციკავშირის უნივერსალური ბაზის უფროს ბუღალტერს.

მიშველიას გრიგოლ პავლეს-ძეს — გალის რაიონის მზიურის ჩაის საბჭოთა მეურნეობის მთავარ ბუღალტერს.

მორჩილაძეს დავით სოლომონის-ძეს — საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოს სასწავლო კომბინატის დირექტორის მოადგილეს.

მოსტოვიხს ნიკოლოზ ფელიქსის-ძეს — თადარიგის პოლკოვნიკს.

მუჯირს მიხეილ ივსიხის-ძეს — „საქმიწლმოსტანის“ მახარაძის დამზადების კანტორის მთავარ ბუღალტერს.

ლომიძეს ალექსანდრე იუსტინეს-ძეს — ტრესტ „საქნავთის“ მთავარ ბუღალტერს.

პავლიდს კირიაკ ივანეს-ძეს — სამტრესტის მთავარ ბუღალტერს.

პავლოვიჩს მიხეილ ადოლფის-ძეს — აფხაზეთის ასსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის უფროს ბუღალტერს.

პატეიშვილს ალექსანდრე გერმანის-ძეს — „საქმინნოწყალის“ ბორჯომის შუშის ქარხნის მთავარ ბუღალტერს.

პლუშნიკოვას ალექსანდრა იოსეფის ასულს — აფხაზეთის ასსრ მინისტრთა საბჭოს მთავარ ბუღალტერს.

პოპოვს თომა ანასტასის-ძეს — წალკის რაიკომკავშირის მთავარ ბუღალტერს.

რაზმაძეს რომან იროდიონის-ძეს — საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს რესპუბლიკური სანიტარული გასათლების სახლის მთავარ ბუღალტერს.

რიგიშვილს არჩილ მათეს-ძეს — თიანეთის რაიონის სოფლის მეურნეობის სამმართველოს მთავარ ბუღალტერს.

(დასასრული იქნება).

გაგრძელება. დასაწყისი იხ. „კომუნისტი“ № 148.

რ. ბ. შამელაშვილი — ფილოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორი

სამხრეთ ოსეთის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის ქართული ენისა და ლიტერატურის კათედრის დოცენტმა, პედაგოგიკის მეცნიერებათა კანდიდატმა **რაფიელ მიხეილის-ძე შამელაშვილმა** თბილისის შრომის წითელი დროშის ორდენოსანი სახელმწიფო უნივერსიტეტის ენათმეცნიერების სამეცნიერო საბჭოს ღია სხდომაზე ფილოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად დაიცვა დისერტაცია თემაზე: **„ვ. ი. ლენინი და ენათმეცნიერების საკითხები“.**

სსრ კავშირის უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტროს უმაღლესმა საატესტაციო კომისიამ დაამტკიცა რ. შამელაშვილისათვის ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხის მინიჭება.

ვაკის პარკში

თბილისში საგრძნობლად დაცხა. ვინც ჯერ არ გასულა ქალაქიდან, პარკებსა და ბაღებს მიაშურებს ხოლმე. ძირითადად ისინი ჩვენი ყვავილები — ბავშვები არიან. ყველგან გაისმის მათი მაცოცხლებელი ჟრიამული.

ეს სურათი გუშინ ვაკის პარკში გადაიღო ფოტოკორესპონდენტმა გ. სანაია.

თასს გამოეთიშნენ

„დინამო“ (თბილისი) — „ტორპედო“ (მოსკოვი) 0:2 (0:2). თბილისი, 1 ივლისი. „ლოკომოტივის“ სტადიონი. მსაჯი — ი. პონომარიოვი (კიმინოვი).

„დინამო“ — ურუშაძე, ძოძუაშვილი, ჭელიძე, ხურცილავა, ებრალიძე, ჭელიძე, ბერიაშვილი (მეტრეველი), კუტუბაძე (გავაშელი), მაჩაიძე, ყიფიანი, გ. ნოდია, ლ. ნოდია.

„ტორპედო“ — ბანიკოვი, ჩუმაკოვი, პახომოვი, კრასნოვი, იურინი, [illegible] კოვი, დეგტიაროვი, პაისი, სმირნოვი, ნიკონოვი (იანეკი), ფეტისოვი.

თბილისის „დინამოსა“ და მოსკოვის „ტორპედოს“ გუშინდელი შეხვედრა სსრ კავშირის თასის გათამაშების მეოთხედფინალური მატჩი იყო. იგი დამთავრდა ტორპედოელთა გამარჯვებით ანგარიშით 2:0. ორივე ბურთი გატანილ იქნა პირველ ტაიმში სმირნოვის მიერ.

თბილისის „დინამო“ გამოეთიშა თასისათვის მებრძოლთა რიგებს.

ნახევარფინალში გავიდნენ

გუშინ ბაქოსა და დონის როსტოვში გაიმართა სსრ კავშირის თასის გათამაშების მეოთხედფინალური მატჩები ფეხბურთში.

ბაქოში თამაშობდნენ ადგილობრივი „ნეფტჩისა“ და ლენინგრადის „ზენიტის“ გუნდები. გაიმარჯვეს ბაქოელებმა 3:2 და ნახევარფინალში გავიდნენ.

დონის როსტოვში დონეცკის „შახტიორისა“ და დონის როსტოვის არმიის სასპორტო კლუბის გუნდების შეხვედრის შედეგია 2:1 დონისროსტოველთა სასარგებლოდ. არმიელი ფეხბურთელები ნახევარფინალში გავიდნენ.

მატჩები და ფეხბურთელები

გუშინ გაიმართა საკავშირო ჩემპიონატის მორიგი ტურის მატჩები ფეხბურთში უმაღლესი ჯგუფის გუნდებისათვის.

მოსკოვში ერთმანეთს შეხვდნენ დედაქალაქის გუნდები — „დინამო“ და ცსკა. გაიმარჯვეს დინამოელებმა 1:0.

მინსკში თამაშობდნენ ადგილობრივი და კიევის „დინამოს“ გუნდები. წარმატება კიეველებს ხვდათ 1:0.

ეპიტრაქელიოზვევა

თავშექცევა თუ ბანჯგვლიანობა?!

— ადამიანისადმი, ადამიანის გადაცემა კანონით აკრძალულია, მით უმეტეს ისეთი ადამიანისათვის, რომელსაც მანქანის მართვის მოწმობა არა აქვს და ვერ ეკვევა მოძრაობის ელემენტარულ წესებში.

ქუთაისის საავეჯო კომბინატის მუშა ფაშა კონსტანტინეს-ძე ბერიკაშვილი ერთი იმათგანია, რომლებისთვისაც სულ ერთია ვის გადასცემენ მანქანის საჭეს. იგი ადამიანთა ისეთ კატეგორიას ეკუთვნის, რომლებიც არაფრად აგდებენ სახელმწიფოს კანონსა და წესს. ფ. ბერიკაშვილმა თავისი საკუთარი „პობედის“ საჭე ქუთაისში მცხოვრებ ვერა ალექსანდრეს ასულ უგრეხელიძეს გადასცა და ლეჩხუმისაკენ გასწიეს. ვერა უგრეხელიძეს მანქანის მართვის უფლება არა ჰქონდა, მაგრამ იგი მაინც არ შეუშინდა სახიფათო გზას. ამ წყვილმა დიდი ვაივაგლახით მიაღწია ცაგერის რაიონის სოფელ ქვედა ცაგერს. ავტომანქანის მართვის ეშხში შესულმა ვერამ მართვის სიჩქარეს უფრო მოუმატა, თან მედიდურად უყურებდა გარემოს და თავს აწონებდა გვერდით მჯდომ ფაშა ბერიკაშვილს.

სოფელ ქვედა ცაგერში გზის პირად მდიოდა თამარ ახვლედიანი. გათამამებულმა ვ. უგრეხელიძემ ქარავით მიმავალი ავტომანქანის საჭე ვერ დაიმორჩილა და „პობედა“ თ. ახვლედიანს დაეჯახა, რომელმაც სხეულის დაზიანება მიიღო და კეთილმა ადამიანებმა საავადმყოფოში მოათავსეს.

ფაშა ბერიკაშვილი და ვერა უგრეხელიძე მილიციაში მიიბარძანეს. ახლა სიტყვა საბჭოთა მართლმსაჯულებას ეკუთვნის. ასე დამთავრდა ამ წყვილის თავშექცევა.

ბ. გორელი.

საქართველოს ზოოტექნიკურ-სავეტერინარო სასწავლო-საკვლევი ინსტიტუტი

აცხადებს 1971-72 სასწავლო წლისათვის სტუდენტთა მიღებას წარმოებისაგან მოწყვეტით დასწრებული სწავლების შემდეგ ფაკულტეტებზე:

1. ზოოტექნიკური ფაკულტეტი (ქართული სექტორი) — სწავლული ზოოტექნიკოსის სპეციალობით.

2. სავეტერინარო ფაკულტეტი (ქართული და რუსული სექტორები) — ვეტერინარი ექიმის სპეციალობით.

ინსტიტუტში მიიღებიან მოქალაქენი 35 წლის ასაკამდე, რომელთაც მიღებული აქვთ სრული საშუალო განათლება. იმ პირთათვის, რომლებმაც დაამთავრეს სპეციალური საშუალო სასწავლებელი, საალდებულოა საწარმოო მუშაობის სამი წლის სტაჟი. აღნიშნული სტაჟი არ მოეთხოვებათ იმათ, ვინც მოხვდა საშუალო სპეციალური სასწავლებლის გამოშვების 5 პროცენტში ან განთავლება მიიღო წარმოებისაგან მოწყვეტლივ.

პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლების კურსდამთავრებულნი მიიღებიან არსებული კანონმდებლობის შესაბამისად.

ინსტიტუტში შემსვლელნი მისაღებ გამოცდებს აბარებენ შემდეგ საგნებში: **ქართულ სექტორზე** — ქართული ენასა და ლიტერატურაში (წერა), ბიოლოგიაში (წერა), ფიზიკაში (წერა), ქიმიაში (წერა). **რუსულ სექტორზე** —რუსული ენასა და ლიტერატურაში (წერა), ბიოლოგიაში (წერა), ფიზიკაში (წერა), ქიმიაში (წერა).

ოჯროს ან ვერცხლის მედალოსნები ან სპეციალური სასწავლებლების კურსდამთავრებულნი, რომლებმაც მიიღეს წარჩინების დიპლომი, აბარებენ გამოცდას ბიოლოგიაში. აღნიშნულ საგანში ფირადი („ხუთი“) შეფასების მიღების შემთხვევაში ისინი თავისუფლდებიან სხვა გამოცდებისაგან, ხოლო „ოთხი“ ან „სამი“ შეფასების მიღებისას აბარებენ სხვა საგნებსაც.

მისაღები გამოცდები იწარმოების სსრ კავშირის უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტროს მიერ დამტკიცებული პროგრამების მიხედვით.

ინსტიტუტში ჩარიცხვა მოხდება სსრ კავშირის უმაღლეს სასწავლებლებში მიღების წესების შესაბამისად.

უგამოცდოდ და კონკურსგარეშე ჩარიცხვის უფლების მქონე პირთა შემდეგ ინსტიტუტში პირველ რიგში ჩარიცხებიან შემდეგად სოფლად მცხოვრები პირები, რომლებსაც აქვთ პრაქტიკული მუშაობის სტაჟი სასწავლებლად არჩეული სპეციალობით, პირველ ყოვლისა წარმოების მოწინავენი, რომლებიც იგზავნებიან სწავლისათვის თანახმად სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1959 წლის 18 სექტემბრისადგენილებისა და წარმოადგენენ დაწესებული ფორმის მომართვას.

განცხადება მიღების შესახებ შემოტანილ უნდა იქნას ინსტიტუტის რექტორის სახელზე, არჩეული ფაკულტეტის ჩვენებით. განცხადებას თან უნდა დაერთოს შემდეგი საბუთები: 1) საშუალო განათლების დოკუმენტი (დედანი). საშუალო სპეციალური განათლების კურსდამთავრებულნი დიპლომთან ერთად წარმოადგენენ დანართს ჩაბარებული საგნების შესახებ; 2) დახასიათება უმაღლეს სასწავლებელში შესასვლელად, უკანასკნელი სამუშაო ადგილიდან, რომელსაც აძლევენ პარტიული, კომკავშირული, პროფკავშირული და სხვა საზოგადოებრივი ორგანიზაციები და საწარმო-დაწესებულებების ხელმძღვანელები. - ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის კურსდამთავრებულნი წარმოადგენენ სკოლის ხელმძღვანელის და საზოგადოებრივი ორგანიზაციების მიერ გაცემულ დახასიათებას, ხოლო სსრ კავშირის შეიარაღებული ძალებიდან დემობილიზებულნი ადგენენ დახასიათებას შესაბამისი სამხედრო ნაწილისაგან; 3) ცნობა საწარმოო მუშაობის სტაჟის შესახებ — ამონაწერი შრომის წიგნაკიდან, დამოწმებული საწარმოს (დაწესებულების) ხელმძღვანელის მიერ. კოლმეურნეთათვის — ამონაწერი კოლმეურნის წიგნაკიდან, დამოწმებული კოლმეურნეობის გამგეობის მიერ, რომელშიც ნაჩვენები უნდა იყოს შრომადღეების სავალდებულო მინიმუმი და გამომუშავებული შრომადღეების რაოდენობა წლების მიხედვით. საბალხო მეურნეობის სხვადასხვა დარგებიდან მოვლინებულმა პირებმა დამატებით უნდა წარმოადგინონ ერთიანი ფორმის მიმართვა სასწავლებელში მივლინების შესახებ; 4) სამედიცინო ცნობა (ფორმა № 286); 5) ცნობა საცხოვრებელი ადგილიდან; 6) ოთხი ფოტოსურათი (გადაღებული უქუდოდ), ზომა 3X4 სმ. ინსტიტუტში შემსვლელნი პირადად წარმოადგენენ პასპორტს და სამხედრო ბილეთს ან მიწერის მოწმობას.

განცხადებები მიიღება 20 ივლისამდე ყოველდღე გარდა კვირაოდისა 12 საათიდან 15 საათამდე. **მისაღები გამოცდები** 1 აგვისტოდან 20 აგვისტომდე. **დაწვრილებითი ცნობების მიღება შეიძლება მიმღებ კომისიაში.**

ინსტიტუტის მისამართი: თბილისი —კრწანისი, **ზოოტექნიკურ-სავეტერინარო სასწავლო-საკვლევი ინსტიტუტი.** ავტობუსი № 23.

თბილისის მესამე სამედიცინო სასწავლებელი

სასწავლებელი ამზადებს საშუალო სამედიცინო კადრებს ბებია-ქალისა და ბავშვთა სამკურნალო-პროფილაქტიკურ დაწესებულებებში მომუშავე მედდის სპეციალობით.

აცხადებს მოსწავლეთა მიღებას 1971-1972 სასწავლო წლისათვის

დად შეაქვს განცხადება შემდეგი საბუთების დართვით: 1. განათლების მოწმობა (დედანი); 2. ავტობიოგრაფია; 3. ცნობა ჯანმრთელობის შესახებ (ფორმა № 286), გაცემული საცხოვრებელი ადგილის მიხედვით; 4. სამი ფოტოსურათი (გადაღებული უქუდოდ, ზომით 3X4 სმ); 5. ცნობა საცხოვრებელი ადგილიდან; 6. ამონაწერი შრომის წიგნაკიდან (იმ პირთათვის, რომლებსაც აქვთ პრაქტიკული მუშაობის სულ მცირე 2 წლის სტაჟი სპეციალობის მიხედვით), შემოწმებული დაწესებულების ხელმძღვანელის მიერ; 7. პირადად წარმოდგენილ უნდა იქნას დადადების მოწმობა ან პასპორტი.

კონკურსის შედეგების შეჯამებისას მხედველობაში მიღებული იქნება როგორც მისაღები გამოცდების შედეგები, ისე განათლების მოწმობაში ნაჩვენები ნიშნების საშუალო არითმეტიკული ნიშანი.

უკონკურსოდ პირველ რიგში ჩარიცხებიან ის პირნი, რომლებიც წარმატებით ჩაბარებენ მისაღებ გამოცდებს და აქვთ პრაქტიკული მუშაობის სულ მცირე 2 წლის სტაჟი სპეციალობის მიხედვით. დანარჩენ ადგილებზე ჩარიცხვა იწარმოებს კონკურსის წესით.

მისაღები გამოცდების ჩაბარების შემდეგ სასწავლებელში მუშაობის სტაჟით ჩარიცხული პირები ვალდებული არიან პირველი სექტემბრისათვის წარმოადგინონ შრომის წიგნაკი, წინაადმდეგ შემთხვევაში გაირიცხებიან სასწავლებლიდან.

სასწავლებელში ჩარიცხული მოსწავლეები არსებული წესის თანახმად უზრუნველყოფილი იქნებიან სტიპენდიით.

განცხადებები მიიღება მომდინარე წლის 1 აგვისტომდე 16 საათიდან 18 საათამდე, გარდა კვირისა.

მისაღები გამოცდები 1 აგვისტოდან.;

სასწავლებლის მისამართი: თბილისი, ქამოს ქ. № 52, ტელეფონი — 95-41-47.

ვ. თოიძის სახელობის საქხატვრო პროფტექნიკური № 11 სასწავლებელი

აცხადებს მოსწავლეთა მიღებას 1971-72 სასწავლო წლისათვის შემდეგ სპეციალობებზე:

1. საალფრეინო დეკორატორ-შემსრულებელნი, 2. საიუველირო ნაკეთობების შემსრულებელთა, 3. ლითონის მხატვრულად ჩამოსხმის და მეყალიბეთა, 4. მხატვრული სტილის მეავეჯეთა, 5. საალფრეინო ფერმწერელთა, 6. შემლესავ მეფილე-მღებავთა, 7. ქვის მხატვრულად ჭრისა და შემოსვითი.

სასწავლებელში მიიღებიან ვაჟები და გოგონები, რომელთაც დამთავრებული აქვთ ზოგადსაგანმანათლებელო სკოლის არანაკლებ 8 კლასისა. მსურველებმა უნდა შემოიტანონ სასწავლებელში შემდეგი საბუთები: განცხადება (დირექტორის სახელზე), დაბადების და განათლების მოწმობა (დედანი), ავტობიოგრაფია, ცნობა საცხოვრებელი ადგილიდან, 4 ცალი ფოტოსურათი (3X4 სანტ.) სამხედრო სამსახურთან დამოკიდებულების სამუშაო (ვისაც ეხება). სწავლების ვადა სამი წელია. სასწავლებელში ჩარიცხულნი უზრუნველყოფილი იქნებიან სამჯერადი კვებით და ჩაცმით.

განცხადებები მიიღება 25 აგვისტომდე, მოსალები შესარჩევ გამოცდა ხატვაში და მოსწავლეთა სასწავლებელში ჩარიცხვა იწარმოებს 25 აგვისტოდან 31 აგვისტომდე, სწავლა დაიწყება 1 სექტემბერს.

განცხადებები მიიღება სასწავლებლის კანცელარიაში ყოველდღე დღის 9 საათიდან 17 საათამდე (გარდა კვირადღეებისა).

სასწავლებლის მისამართი: ქ. თბილისი, ჭონქაძის ქ. № 21. ტელეფონი 99-09-07.

თბილისის 3. მ. კომაროვის სახელობის ფიზიკა-მათემატიკის საშუალო სკოლა-ინტერნატი

აცხადებს მიღებას 1971-72 სასწავლო წლისათვის VIII და IX კლასებში.

1. თბილისის 3. მ. კომაროვის სახელობის ფიზიკა-მათემატიკის საშუალო სკოლა-ინტერნატში მიიღებიან ის მოსწავლეები, რომლებიც იჩენენ განსაკუთრებულ მიდრეკილებას ფიზიკისა და მათემატიკის შესწავლისადმი, დაამთავრეს საშუალო სკოლის მე-7 ან მე-8 კლასები და გასაუბრებისას გამოიჩენენ სათანადო ცოდნას შესაბამისი კლასის პროგრამის ფარგლებში.

2. გასაუბრებაზე დაშვების შესახებ განცხადებები მიიღება 20-დან 26 აგვისტომდე. განცხადებასთან ერთად წარმოდგენილ უნდა იქნას ცნობები განათლებისა და ჯანმრთელობის შესახებ (ფორმა № 26 და 191), ორი ფოტოსურათი. საბუთები შეიძლება გაიგზავნოს ფოსტით და პირადად წარედგინოს მიმღებ კომისიას.

3. მისაღები გასაუბრება — 20-დან 30 აგვისტომდე ჩათვლით.

4. მოსწავლეთა ჩარიცხვა 26-დან 31 აგვისტომდე. მოსწავლეთა სკოლა-ინტერნატში ჩარიცხვა ფორმდება დირექტორის ბრძანებით.

5. ფიზიკისა და მათემატიკის რესპუბლიკური ოლიმპიადების დასკვნითს ტურში გამარჯვებული მოსწავლეები სკოლა-ინტერნატში ჩარიცხებიან გასაუბრების გარეშე.

6. მოსწავლე-აღსაზრდელები, რომლებიც სკოლა-ინტერნატში სწავლის პროცესში ვერ მიაღწევენ მაღალ აკადემიურ მაჩვენებლებს ფიზიკასა და მათემატიკაში, უბრუნდებიან თავიანთ სკოლებს საცხოვრებელი ადგილის მიხედვით.

7. დაწვრილებითი ცნობების მიღება შეიძლება სკოლა-ინტერნატის კანცელარიაში.

სკოლა-ინტერნატის მისამართი: ვაჟა-ფშაველას პრ. № 49, ტელეფონი—კანცელარია 31-15-70.

თბილისის ი. ჭავჭავაძის სახელობის უცხო ენათა სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტი

აცხადებს სტუდენტთა მიღებას 1971-72 სასწავლო წლისათვის დღისა და საღამოს განყოფილებების შემდეგ სპეციალობებზე:

ინგლისური ენა, გერმანული ენა, ფრანგული ენა (ქართულ და რუსულ სექტორზე).

ინსტიტუტში შემსვლელნი აბარებენ მისაღებ გამოცდებს შემდეგ საგნებში: ქართულ სექტორზე: უცხო ენაში, ქართულ ენასა და ლიტერატურაში (წერა, ზეპირი), სსრკ ისტორიაში (წერა). რუსულ სექტორზე: უცხო ენაში, რუსულ ენასა და ლიტერატურაში (წერა, ზეპირი), სსრკ ისტორიაში (წერა).

განცხადება წარმოდგენილ უნდა იქნას ინსტიტუტის რექტორის სახელზე დაწესებული ფორმით და დაერთოს შემდეგი საბუთები:

1. საშუალო განათლების დოკუმენტი (დედანი); 2. სამედიცინო ცნობა (ფორმა № 286) 3. ოთხი ცალი ფოტოსურათი (გადაღებული უქუდოდ, ზომით 3X4 სმ., დამოწმებული). 4. დახასიათება უკანასკნელი სამუშაო ადგილიდან, ხელმოწერილი საწარმო-დაწესებულების ხელმძღვანელის, პარტბიუროს ან კომკავშირის ბიუროს მდივნის და ადგილკომის თავმჯდომარის მიერ, კოლმეურნეთათვის — ხელმოწერილი კოლმეურნეობის გამგეობის თავმჯდომარის და საზოგადოებრივი ორგანიზაციის ხელმძღვანელობის მიერ. ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების კურსდამთავრებულნი წარმოადგენენ დახასიათებას, გაცემულს სკოლის პედსაბჭოსა და საზოგადოებრივი ორგანიზაციების მიერ; საბჭოთა არმიიდან და სამხედრო-საზღვაო ფლოტიდან დემობილიზებულნი — გაცემულს სათანადო სამხედრო ნაწილის ხელმძღვანელობის მიერ. 5. ამონაწერი შრომის წიგნაკიდან (მუშაობის სტაჟის მქონე პირთათვის) დამოწმებული საწარმოს ან დაწესებულების ხელმძღვანელის მიერ. ხოლო კოლმეურნეთათვის — ამონაწერი საკოლმეურნეო წიგნაკიდან. დამოწმებული კოლმეურნეობის გამგეობის მიერ. ამონაწერში აღნიშნული უნდა იყოს გამომუშავება და ამ კოლმეურნეობისათვის დადგენილი შრომადღეების მინიმუმი ცალკეული კალენდარული წლისათვის.

პასპორტსა და სამხედრო ბილეთს (ან მიწერის მოწმობას) შემმსვლელნი წარმოადგენენ პირადად.

შენიშვნა: საღამოს ფაკულტეტზე შემსვლელმა უნდა წარმოადგინოს ცნობა სამუშაო ადგილიდან, სადაც აღინიშნება სამსახურის დაწყების დრო.

განცხადებები მიიღება ა. წ. 31 ივლისამდე ჩათვლით ყოველდღე (გარდა კვირადღეებისა) 10-დან 14 საათამდე.

მისაღები გამოცდები 1 აგვისტოდან.

დაწვრილებითი ცნობების მიღება შეიძლება მიმღებ კომისიაში (ი. ჭავჭავაძის პრ. № 45).

ტელევიზია

2 ივლისი

პირველი პროგრამით

11.05 — ახალი ამბები, 11.15 — კინოპროგრამა — „კინო მოგვითხრობს“, 12.35 — მხატვრული ფილმი — „სიყვარულთან პირისპირ“, 14.00 — „სოიუზ-11“ ხომალდის მეთაურის საბჭოთა კავშირის გმირის, კოსმონავტი მფრინავის გიორგი ტიმოთეს-ძე დობროვოლსკის, ბორტ-ინჟინრის, ორგზის საბჭოთა კავშირის გმირის, კოსმონავტი მფრინავის ვლადისლავ ნიკოლოზის-ძე ვოლკოვის, ინჟინერ-გამომცდელის, საბჭოთა კავშირის გმირის, კოსმონავტი მფრინავის ვიქტორ ივანეს-ძე პაცაევის ხსოვნას (გადმოცემა მოსკოვიდან). 18.05 — ახალი ამბები, 18.10 — ხვალ კოოპერაციის დღეა, 18.30 — პროგრამა ბავშვებისათვის „იყო და არა იყო რა“..., 18.40 — „ცანგალა და გოგონა“, 19.00 — „გადავაქციოთ მეცხოველეობა რენტაბელურ დარგად“, 19.15 — კინოპროგრამა, 20.15 — „კანონიერების სადარაჯოზე“. 20.30 — კინონარკვევი, 20.40 — „მოამბე“ — საინფორმაციო პროგრამა, 21.05 — საქართველოს ფერადი ტელევიზია. ხელოვნების ოსტატთა კონცერტი, 22.00 — დრო — საინფორმაციო პროგრამა (გადმოცემა მოსკოვიდან), 22.30 — მხატვრული ფილმი — „ოქროსი და წითელი“.

მეორე პროგრამით

20.00 — გადაცემა — „ტურისტული ბილიკებით“, 20.20 — ქართული მხატვრული ფილმი — „ოთარაანთ ქვრივი“.

ორგანიზაციათა, საწარმოთა, დაწესებულებათა და სასწავლებელთა ხელმძღვანელების საყურადღებოდ

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობა იუწყება, რომ გამომცემლობის რეკლამისა და ინფორმაციის განყოფილება (თბილისი, ლენინის, 14) მხოლოდ მაშინ მიიღებს რესპუბლიკურ და საქალაქო გაზეთებში გამოსაქვეყნებელ განცხადებებსა და რეკლამებს, თუ იქნება მომართვა, რომელშიც სავალდებულო წესით უნდა მიუთითებდნენ: იმ გაზეთის (ან გაზეთების) სახელწოდებას, რომელშიც განზრახულია განცხადების ან რეკლამის დაბეჭდვა; შეკვეთის გარანტიას, რომ გადა. სახადს გაანაღდებს, თბილისისათვის ხუთი, ხოლო სხვა ქალაქებისათვის — ათი დღის ვადაში; — ორგანიზაციის საგადასახადო რეკვიზიტების სრულ დასახელებას.

ადმინისტრაცია

რედაქტორის მოადგილე
ბ. თათარიშვილი.